

ჩ ვ ე ნ ი

თათბა

სახელმწიფო გამომცემლობა

3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ჩ ვ ე ნ ი თ ა ო ბ ა

12 767

საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ურველთვიური ორგანო



თ ბ ი მ ი ს ი  
1 9 3 8

№ 3  
მ ა რ ტ ი

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

**მხატვრული ლიტერატურა**

	<b>გვ.</b>
გ. კაკხიძე — ალღუმზე წითელარმიელებს . . . . .	3
გაბრ. ჯაბუშანური—არხოტული სიმღერები . . . . .	4
ალექო შენგელია — ძმებს საფრონოვებს . . . . .	6
მიხეილ ფხაკაძე — ფიქრი სამშობლოზე . . . . .	7
ალ. ჯაფარიძე — შოვი . . . . .	9
ან. თევზაძე — სიმღერა . . . . .	11
ელ. უბილავა — საგურამოში . . . . .	12
ვახილ ლომიძე — მოწრიალე ხე . . . . .	14
ალ. ხუციშვილი — სირცხვილ-ნამუსი (მოთხ- რობა) . . . . .	15

**კლასიკური მემკვიდრეობა**

ტარას შევჩენკო — ვერხვი—თარგმ. კ. ლორ- თქიფანიძისა . . . . .	37
დანტე ლიგჰიერი — სალხინებელი, თარგმანი კ. გამსახურდიასი . . . . .	43

**ხალხური უმეოკმედება**

კალოს იარაღები — ჩაწერილი ი. მკედლიშვი- ლის მიერ . . . . .	48
---	----

**პრიტიკა**

დ. ჯანელიძე — ალექსანდრე ყაზბეგის უბის წიგნაკები . . . . .	50
აკაკის ერთი გამოუქვეყნებელი სიტყვა . . . . .	61
უცხოეთის ლიტერატურული ქრონიკა . . . . .	63

პ/გვ. რედაქტორი ირაკლი აბაშიძე

# მხატვრული დიბუაჟები

მ. კაჭახიძე

## აღლუმზე წითელარგით

გულს მიჟოლადებს თქვენი ვაშა, თქვენი ძახილი,  
მტკიცედ მოდიხართ და მოარხევთ მწყობრად შაშხანებს.  
ჩვენი მკერდია თქვენი ჯანი, ბასრი მახვილი  
და გამარჯვებულ მზიურ შრომას წინ მიაჩქარებთ.

როგორც ყოველთვის, დღესაც გული შესძრეს ფიქრებმა:  
ადამიანთა სასაკლავო მტერი ამზადებს...  
ომი არ გვინდა, მაგრამ რაკი ომი იქნება,  
უნდა სიმტკიცე, უნდა ძალა მივცეთ ზარბაზნებს!

რომ ხმა სამშობლოს მეტი ექნეს და მზის ვარაყი  
ემატებოდეს ჩვენს ეზოებს, გზებს და სადგურებს.  
თუ დაგვარტყამენ, — ავდგებით და მხეცს იარაღით  
ლეკვებიანად ბუნაგშივე გავანადგურებთ!

და პოეტის ხმა იმ დღეებში შუბად აწვდილი  
იყოს საყვირი ჩვენი დღის და ჩვენი ბრძოლების.  
ლექსი გავიდეს ბრძოლის ველზე ხანძრად განცდილი  
და აღტყინება მიიტანოს განუზომელი.

გაჭრას, გათელოს უღრანები გმირის მუხლივით,  
იგრძნოს: სად უნდა სიბრალული და სად მუქარა,  
ჩადგეს ლაშქარში როგორც ტემპი, როგორც ქუხილი  
და ყოველ მებრძოლს ასროლინოს დროზე ყუმბარა!

### არსოტული სიმღერები

მე შეღმა გორზე ვაძოვებ ნახირს,  
შენ გაღმა გორით მეხმაურები.  
ცაზე წვეებიან ღრუბლები თალხი, —  
ვით იალალზე ბედაურები.

კლდის თავზე ნისლი მეგობარს ელის,  
წყლის დასაღვეად არაგვზე ჩასულს  
და მეც ვაჟკაცი წვერაუშლელი  
შენ შემოგმდერი მთის ტურფა ასულს.

ბურუსში თეთრი ბილიკი ქრება,  
ყვირის მოზვერი კლდეს შენარჩენი,  
ნისლი ნისლს ერთვის და რა იქნება  
დავაზიაროთ სამწყემსო ჩვენი.

გული ივსება სხვა სინაზეთი,  
შიათკეცდება მუხლში უნარი.  
თუ შენზე ქებას ყვირის გაზეთი,  
არც მე ვარ ბიჭი დასაწუნარი!

### ხმალი

შოიშალა მუდამ შარი, ხედვა აღმაცერი.  
შეიხსნა და თვით საყვარელ ხმალსაც ჩამოშორდა,  
მხოლოდ ზოგჯერ ჩამოიღებს, ფხას უსინჯავს. ცერით,  
პირს უწყობს და ჟანგს აშორებს დაობლებულ გორდას.

ვულს იტაცებს სხვა მიზნები, სხვა ფიქრების სრბოლა,  
სხვა სიმღერებს დაადევნებს მოღუღუნე ფანდურს  
და კედელზე დაკიდებულ ლეკის ნაჭედ ფოლადს  
თვალს შეავლებს მოღიმარი, მკვეთრს და დარდიმანდულს.

ერთხელ უთხრეს მოხუცებმა: დაგეჟანგა ხმალი,  
არც არაფინ დაგიჭრია, აღარც დაიჭერი!  
უპასუხა: მტერს დავხვდეთო, ჯერ არ უთქვამს სტალინს  
და ჩემ ხმალსაც არ მოსვლია აელვების ჯერი!

## ძმებს საფრონოვებს

ხუთმა ძმამ საფრონოვებმა სთხოვეს ამხანაგ ვაწროშელოვს,  
ჩარიცხოს ისინი ერთ სატანკო რაზმეულში.

ხუთნი როდი ხართ ასეთი აზრით  
დედის გულიდან აფრენილები!  
ჩვენც, გმირთა სისხლით შობილთ და გაზრდილთ,  
გვქვიან გმირული ქვეყნის შვილები.  
ერთი გული გვაქვს, აზრიც ნათელი,  
წმინდა, — სამშობლოს ნათელ დღესავით,  
და თქვენ, გმირული მოდგმის სახელი,  
ჩვენი ნამდვილი ხართ ნათესავი.  
მოვალთ ურიცხვი, მშობელ ბუდიდან,  
რომ ავფრენილვართ სრულწლოვანებად,  
მოგვაქვს ხალისი, სავსე გული და  
ახალგაზრდული აფრთოვანება.  
როგორც მახვილი ბასრად ნალესი,  
ჰრძოლის ქარიშხალს ერთად გადვივლით;  
ჩვენც, მშობელ მიწის ტკბილი ალერსით,  
ვზრდილვართ ანთებულ განთიადივით!

## ზიხარი სამშობლოში

ჩემს სამშობლოს ლაყვარდოვან სივრცეს,  
აყვავებულ გაზაფხულის მოცქრიალე დილას,  
ამაყ კავკასს — მზის სხივებს რომ  
პირველ სალამს მისცემს  
და მქუხარე ჩანჩქერებს რომ ხევხუვებში ჩრდილავს;

მინდორ-ველებს, კოლექტივის ახოს,  
ყად აბჯენილ ნაძენარების წყებას,  
რომ საკმაო არის კაცმა ნახოს  
და რომ თვალებს აღარ ავიწყდება.  
ჯეჯილების ლურჯად დელვას მტკვრის ორთავე მხარეს  
ზღვის სილადით და ზღვისავე  
ფაფარაყრილ ზვირთით,  
დღე თვითონ მზე რომ დაჰხარის  
და ღამით კი მთვარე  
დაბლა დახრილ თავთავეებზე ოცნებით და ფიქრით;

მანდარინის შეყვითლებულ ბალებს,  
თავქოჩორა ჩაქვის ჩაის ბუჩქებს;  
ამაყ თბილისს —  
განახლების ვრცელ კარებს რომ აღებს  
და მწვანედ რთავს ბალნარებს და ქუჩებს;

ქარხნის გუგუნს სივრცეებს რომ რკალავს.  
ღუმელებში მოელვარე ცეცხლებს,  
რიონჰესის მთით მოვარდნილ ძალას...  
და ზაჰესის გაბრწყინებულ მერცხლებს,

მტკვარს, ბუტბუტით რომ ვიდოდა მუღამ,  
დღეს კა კაშხალს რომ უკოცნის ტუჩებს,



თან ზვირთს ზვირთზე ამთაგორებს  
წამოდგომა უნდა  
სურს შეხედოს სანაპიროს ახალშობილ ქუჩებს...

თეთრი უშბის იაღბუზთან დარბაისლურ ბაასს —  
სვანეთის გზას რომ გასცქერის ცალი თვალით ცერად  
და მათ მალლა ალუმინის

არწივების ფრთებზე  
ჯიხვის ჯოგის გადევნებულ ცქერას;

აფეთქებულ ლალუმებით ხევში დანასხლეტებს  
საუკუნოდ მივიწყებულ გრანიტების მასებს  
დღეს რომ შვენის მარქს-ლენინის  
ინსტიტუტის სვეტებს  
და რუსთველის ლამაზ გამზირს სიღიადით ავსებს.

ზესტაფონის ამაყ ფერო გიგანტს —  
ცეცხლის თვალით რომ გასცქერის  
გოლიათის მადით.

ჭიათურის მკერდგანიერ გორებს  
ამოუღევთ მარგანეცის მადნით...

ვრცელ მოედანს დარტყმულ ბურთის  
გაელვებულ ჩრდილით,  
ღია მკერდთან ჩაქროლებულ ნიავს,  
აღტაცებას რომ მომიტანს დილით  
და ჩემგანაც სიხარული მიაქვს...

ბაღში ვარდებს — სპეტაკებს და ნაზებს,  
აღერსით რომ შეხარიან სახეშეცვლილ მხარეს,  
მკვრივ მტევნებით მკერდშებურცულ ვაზებს,  
ქალწულივით თავს რომ შეგაყვარებს...

მთვარის ქათქათას, ვარსკვლავთ კაშკაშს  
სხივოსანი ისრით,  
გზას რომ უკვლევს კრეისერებს ყინულეთის ზღვაში,  
გავსცქერი და მე მზადა ვარ ახალგაზრდულ სისხლით  
ჩემს სამშობლოს შევეწირო მხრებგაშლილი ვაჟი.

### ზოზი

ნაოცნებარი სახის იერით  
აელვარდება სურათი მკვეთრი.  
რალაც უცნაურ სიმშვენიერით  
შეერთებულან მწვანე და თეთრი.  
თოვლთან მთიდან ეშვება დაბლა  
ნაძვნარი, როგორც ძლიერი თქეში,  
თეთრი მდინარე გაბმულა საბლად  
ფიჭვების ჯარით ავსებულ ტყეში.  
დაჰბერავს ქარი ბებერ ბუბიდან,  
მოაქვს ფიჭვის და ნაძვის ჰაერი  
მთებას კალთებზე, მთების უბიდან,  
ჩანს სურათები ნაირნაირი.  
მშობლიურ ქვეყნის მამაც თაობას  
შეეძლო მხოლოდ აღმოეჩინა,  
ასე ძვირფასი სანახაობა  
და მშრომელთათვის მიეცა ბინად.  
საბჭოთა ქვეყნის ყველა უბიდან  
აქ შეკრებილან და ისვენებენ,  
წარმტაც სახეებს, მალალ ბუბიდან  
ხედავენ. წავლენ. გაიხსენებენ.  
გადუქცევიათ ჭაობი მოლად  
და სუფთა ჰაერს ხელით ეხები,  
ქვევით გაშლილა სოფელი გლოლა  
და მკლავმაგარი მკიან გლეხები.  
ოქროს მზით არის ძვალი გამთბარი,  
(მთები კა დგანან ამაყი სახით)  
დაუსრულებელ მკაცრი ზღაპარით.  
ღრიალით მოჰქუხს მღვრიე ჭანჭახი.  
ფიჭვის ტოტებში მზე გადიწვერა,

მიდამოს ატკობს მუსიკის ხმები ,  
ნისლმობვეულა დგას კატიწვერა  
და უცქერიან ლამაზი მთები.

მხატვარი დასდებს ფუნჯს და საღებავს,  
თვალს შეუჩერებს სურათის ცქერა,  
ნაღვლიან სახით ალბომს დახედავს  
და მიატოვებს ფერების წერას.



## ს ი მ ლ ე რ ა

ანათებდეს მთვარე ქუჩებს  
და ფოთლებში ბადეს ქსოვდეს:  
შენს სიყვარულს თუ მაჩუქებ,  
არ დაგტოვებ არასოდეს!

ვის აქვს ისე ბილწი გულა,  
რომ სამშობლო არ ახსოვდეს;  
ჩვენი ქვეყნის გაზაფხული!  
არ დაჰკნება არასოდეს!

იქნებ მტერი გათავებდეს,  
ტყვიას ჩვენსკენ ჯარად სროდეს,  
მაგრამ დროშას ძირს არ დაეხრით,  
არ შევრდებით არასოდეს!

გადიაროს მზემ ეს მთები,  
ხევთან წყარო მათსობდეს,  
ჩვენც ვამღეროთ ისეთ ხმებით,  
რაც არ თქმულა არასოდეს!

გული ცაში აზიდული  
სიხარულის განცდას შობდეს,  
ჩემში შენი სიყვარული  
არ ჩაქრება არასოდეს!

ს ა გ უ რ ა მ ო შ ი

ხეებს უგრძენიათ ზაფხულის მოსვლა,  
 გადაუშლიათ ცისფერი ფოჩი  
 და ბულბულები ვარდების მგოსნად  
 შტოზე შემსხდარან საგურამოში.  
 უნდათ გალობით ვენახებს სდიონ,  
 თქვან შაირები პურის თაველთან,  
 აქოჩრავს ფოთლებს ნელ-თბილი სიღც  
 და სიმინდებში აფართქალდება.  
 ქართლის ბარაქა ტანზე მოსხმული  
 მიწა მკერდიდან ბაღებს წამოშლის  
 და ჭაბუკები დილით მოსული  
 ყვავილებს ჰკრეფენ საგურამოში.  
 დარი დაუდგათ ხეებს და მაინც  
 იღუმალ ფიქრებს მკერდში მარხავენ,  
 ალბათ, ჯავრობენ ქართლის ბაღებში  
 ილიას ცოცხალს ველარ ნახავენ...  
 წიწამურიდან მოსული სიო  
 ხის ფოთლებს ფურცლავს და ვარცხნის კობტად.  
 ჯავრობს: ილიას მოსვლა და წასვლა  
 ზამთრის სუსხიან თვეებშია მოხდა!  
 ჯეჯილობს მერე ყანა და ზვარი,  
 მცენარეც თავის ბედზე არ ჩივის  
 და გაზაფხულის დვიძლი სტუმარი,  
 შეფოთლილ ხეზე მერცხალი ჭყივას.  
 ხმალივით ტაროამოწვდილ სიმინდს  
 მიწა მკერდიდან ფარად წამოშლის  
 და ჭაბუკები გამთბარი სხივით  
 ყვაჯალებს კრეფენ საგურამოში!

მღერიალე ხე

ამწვანებულხარ,  
გადმოგყურებს ზეცა ცქრიალით,  
მზე-უმაღლესი ცის მეუფე უხვად გაშუქებს.  
და მესმის, მესმის მე ფოთლების ნელი შრიალი:  
ო!.. რა ტკბილია ეს სიჭაბუკე!..  
შენ გაიზარდე,  
გადაქარგულ ველთა მშვენიებავ,  
და ირხვეიან ეგ რტოები ნიავის ფრენით:  
შუადღის ხანად შენს ჩრდილოში დასასვენებლად  
სხდებიან ხოლმე კოლმეურნენი.  
სხდებიან ხოლმე,  
რომ ახსენონ კაცი, რომელმაც  
შექმნა სიმდიდრე, ასე ტკბილი, ასე მრავალი  
და როგორც მამამ,  
საყვარელმა მკვიდრმა მშობელმა,  
დაუსაკუთრა მათ ეს მიწა და მოსავალი.  
შენც, ჩემო ხეო,  
რადგან სუნთქავ, იქნებ გრძნობ კიდევც,  
ამ დიად დროში ხმა გაიღე,  
მითხარი რამე!..  
გუშინ საღამოს შენს დატევრილ ტოტებთან ვიდექ-  
მხრებზე ვიფენდი მთვარეულ ღამეს.  
მახსოვს პირველი ტანის აყრა,  
პირველი კვირტი,  
პირველი მღერა, მოქროლილი სიოს ფრთებითა;  
შენს ახლო ხევი,  
ხევში ისევ ტკაცანი ზვირთის  
და ნიაღვრები მაღალ მთებიდან.  
არ ვიცი გული ამ სიხარულს საითკენ მიჰყავს,  
ვარ ბედნიერი.  
შემოგცქერი მკლავების გაშლით

და მობიზინე ეს სიცოცხლე იმიტომ მიყვარს,  
რომ სილამაზე ბინადრობს მასში.

ჩემი ტოლი ხარ!..

მოგონების ეშხით ავივსე,  
როგორ ასულა ეგ კენწერო კრიალა ცამდე,  
შენ იშრიალებ,

იშრიალებ ისევ და ისევ,  
მაგრამ ბოლოს კი წაგიღებთ სადმე...

წაგიღებთ სადმე....

და სიკვდილიც შენი გვჭირდება,  
როდესაც ტოტებს დააცვდება ფოთლების ჩრდილი,  
ვინმე ნაჯახით მოვა შენთან დაურიდებლად  
და დაეცემა ხმა გაკმენდილი.

დაეცემა და

კაცთა მოდგმა აქაც დაგხარის.  
მშობელი მიწა შენ უმიზნოდ არ გინახავდა;  
რომ ავაშენოთ სართულები ახალ-ახალი,  
მალე ფიცრებად გაქცევს ქარხანა.

და შენი ფესვიც ბუჩქს გაიჩენს, შემდეგ ასევე,  
შეაბიზინებს მწვანე ფოთლებს დროთა დინება  
და ტოტების ქვეშ

მკლავებგაწვდილ მობაასეებს  
მუქი ჩრდილები დაეფინებათ.

მაშ ასე ეხარობთ,

სიჭაბუკეს ჭმუნვა ვერ ფარავს,  
და სიხალისე თვალეშუა უცებ არ ჰქრება;  
შენ იშრიალე,

მე ვიმღერებ მარად და მარად  
სიმართლისა და სიცოცხლის ქებას!..

# სირცხვიდ-ნამუსი

(მოთხრობა)

## 1.

დაუდგარი და ანცი გოგო იყო ხათუნა: არ დაგიდევდათ არც ახლად აკოკრებულ მკერდს, არც მაჯის სიმსხო ნაწნავებს, არც შავ-გრუნა თვალ-წარბს. ამაოდ დაეძებდნენ და დელაშისი დაჯია ტყუილად შესძრავდა ხოლმე მეზობლებს: „ი არ, გასაზრდელი გოგო! ხო არ დაგინახავთ“-ო.

დილა ადრიან უბანს ასკინკილით ან ორჩაფეხებით ჩამოირბენდა, მეზობლის ძაღლებს აღიზიანებდა, ჭალებს ჩაუვლიდა, სხვა უბნის ბიჭებს ჭიდაობასა და შაირობაში იწვევდა, თავის უბნის გოგო-ბიჭებს ვაგლახად არავის დააჩაგვრინებდა. საღამოთი სახეს მწარე ბალის წვენიტ მოიჩითავდა, სიმინდის ოქროსფერ ფოჩების წვერ-ულვაშს გაიკეთებდა, მამის მაზარას ან ჩოხას მოისხამდა, მგზავრს დინჯ სალაშს მისცემდა, გასცილდებოდა, ფეხაკრეფით აედევნებოდა, უეცრად შიუყეფდა, შეჭკნავლებდა, შეყივლებდა და სანამ გულგახეთქილი მეზავრი ილლიაში გაჩრილ ჯოხს შემართავდა, ხათუნა ღობე-ხიმეს გადაევლებოდა.

ზამთრის გრძელ ღამეებს მეზობლებში ათენებდა: ოჩხარს, ღამისთევას, საჩეჩად და საწეწად მოხმარებულ მუშას არ გამოაკლდებოდა. ლაპარაკსა, სიმღერასა და ცეკვაში აჯავრებდა დედაკაცებს, ბაძავდა მამაკაცებს. პატარძლებს ფერდები ხელით ეჭირათ. ხათუნა ახალ-ახალ შაირებსა და სიმღერების სათვალავებსა თხზავდა. ყველაზე თამამ პატარძლებსაც კი აწითლებდა.

სახლში ერთხანს უცდიდნენ, ძახილითა და ცდით გაჯერდებოდნენ, გულის ჯავრს წყევლითა და აუგით მოიფხანდნენ, ცეცხლს შეახვევდნენ, მიწვებოდნენ და მიიძინებდნენ. გათენებისას ხათუნა ფეხაკრეფით შეიპარებოდა. თუ მისვლას ვერავინ გაიგებდა, ხათუნა ლოგინში ჩუმად შეძვრებოდა. თუ ვინმე აშმაშურდებოდა, ხათუნა იყივლებდა, გუ-



ლით მძინარეს ძილს დაუფრთხობდა, მერე მოტანილი ამბებით გულის წყრომას გადაავიწყებდა.

როდესაც გაზაფხულზე მთა ვეფხვივით აჭრელდებოდა, ზოლო მთის ძირი მწვანე ქათიბივით მოირთვებოდა, ხათუნა უბნის გოგოებს ჩამოურბენდა. დილის ბურუსში გოგოები სოფელს უჩუმრად გასცდებოდნენ, ჩათვლემილ ტყეს აახმაურებდნენ, აღმართს აჰკეცავდნენ და შიშველი მთის მდელაზე გაიშლებოდნენ. ვაცის-წვერას ბალახით აბიბინებულ ველზე ფერხულს დააბამდნენ და შაირზე აყოლებულ ცეკვა-თამაშს გააჩაღებდნენ.

ხალვათი და ხალისიანი იყო სიმღერაც და თამაშიც. მღეროდნენ ისეთ თამამ სიმღერებს, როგორც სოფლად არ იმღერებოდა. ცეკვავდნენ ისე, როგორადაც სოფლად არავინ იცეკვებდა. მღეროდნენ ისინიც, ვისაც სოფლად თავის დღეში არ ემღერა, ცეკვავდნენ ისინიც, ვისაც არასოდეს არ ეთამაშნა.

დაკრეფილ მხალს: ქალაკოდას, მუყუდოს, სვინტრსა და თოშს შუადლისას ნაძვის ჩრდილში აგროვებდნენ, არჩევდნენ, ტოპრაკებს და გულებს ტენიდნენ. ქალაკოდასაგან ხათუნა დედოფლებს ჰკრავდა, უმწიფარ გუდაფშუტისაგან თავს გამოიყვანდა, სახეს გუნდით მოხატავდა სიცილით და ჟრიაშულით გადადიოდა ხელიდან ხელში დედოფლები.

აგრილებისას გზას ორპირული სიმღერით დაუყვებოდნენ. ახლა ისე მღეროდნენ, როგორც სოფლად მღერიან, ლაშქრულს: „მალლა მთას მოდგა“, „დიდი აიძრა სულთანი“, „დიგორი და ბასიანი“, საქორწილოს: „მოვდივართ, მოგვიხარია“, „ავთანდილ გადინადირა“, საყოფაცხოვრებო სიმღერებს: „ქალსა ვისმე“, „ერთხელ წისქვილს წასვლისთვინა“, „რაეო ჩემო დედაო“, „ქვედრულა მოდიდებულა“. ხათუნა ერთ პირს იწყებდა, მეორეს მოსძახებდა, ხანდახან ბანსაც აშველებდა.

სოფელს მიუახლოვდებოდნენ, „სასვენებელ წყაროსთან“ ტვირთს მოიხსნიდნენ, კალთაში გახვეულ ქალამან-ჩუსტებს ჩაიცვამდნენ, თავსაფარ-ტანისამოსს გაისწორებდნენ და ორპირული სიმღერით დაეწყობოდნენ. სოფლის ჯეელობა მისაგებებლად აიშლებოდა. გზაჯვარედინებსა და სანახშო კალოებზე ცეკვა-თამაშს გამართავდნენ, ფერხულს დააბამდნენ, შაირობდნენ. არ დაიშლებოდნენ, სანამ ვახშამზე ლოდინით მოთმინება-დაკარგული უფროსები არ მიადახებდნენ.

ახლად შემოსული ხილის, მხალისა და სოკოს დახელადებასაც ვერავინ დაასწრებდა ხათუნას. წინასწარ შეიგულებდა, გოგო-ბიჭებს წაუძლევებოდა, სალამოთი სავსე გულებითა და ბოყვებით ბრუნდებოდნენ. ხათუნა ყველაზე მეტს პოულობდა, მაგრამ გზა და გზა ნაცნობ-უცნობს ურიგებდა და სახლში ყველაზე ნაკლები მიჰქონდა. არც მეზობლის ვენახსა და ბალ-ბოსტანს დაგიდევდა მაგრე რიგად, არც ლობე-ყორისა და ქაცვიანი ეკლის შეპუება ჰქონდა: მოევლებოდა, უბე-კალთას გაივსებდა. შინ არ მიჰქონდა და იქვე გოგო-ბიჭებს უწილადებდა.

მაგრამ მეზობლის დახმარებაც იცოდა ხათუნამ. ვისაც სამარგელსა, სამკალსა და სიმინდის რჩევაში „მუშის მოხმარება“ უნდოდა, ხათუნას

მიმართავდა. დაუზარებელი ხათუნა უბანს ჩამოურბენდა და გოგო-ბიჭებს შეჰკრებდა. განსაკუთრებული ხალისით ქვრივ-ობლის სამუშაოში გადიოდა და გაჰყავდა თავისი გოგო-ბიჭები, რადგან იქ მეტი სიხალვათე იყო მუშაობაშიც და სიმღერა-ხუმრობაშიც.

სწყევლიდნენ ხათუნას, ლოცავდნენ ხათუნას, ესარჩლებოდნენ ხათუნას.

— ოი, მაღალო ღმერთო და მფარველო მთავარ-ანგელოზო, წმინდა გიორგი მრავალძლისაო, შენ ნუ აღირსებ ხათუნიკას გაზრდა-დაქალებას, თავზე გვირკვინის დადგმას! მტრის ოჯახში შედგა ფეხი, ბეჩა, მტრისა და ავიმდომლის ოჯახში! — იწყევლებოდნენ ხათუნას ოინებით გაბოროტებული დედაკაცები.

— ნუ წყევლი, ბეჩა, ეგრე ტყუილ-უბრალოდ! ბოშია, გაიზრდება და ჰკუასაც მოიცემს, — ესარჩლებოდნენ მეორენი.

— მეტად ჩემმა მტერმა და ორგულმა არ მოიცა ჰკუა-გონება, რავარც ის ჰკუაში არ ჩავარდეს! ბოში კი არა, ქალა-ბიჭია ის არდასაცალებელი! უსო და უკულმართი!

— ოი, შენ გაეზარდე შენს დედას! მალე გვენახოს შენ თავზე გვირკვინი! ნეტაი იმას, ვის ოჯახშიაც შესდგამს ფეხს, ოქროთი მოჭედილი ხელი აქვს, ოჯახის ღვითო ქალი დადგება! — ლოცავდნენ და აჭებდნენ მაღლიერი დედაკაცები.

საკუთარი ოჯახიც აჯანყებული ჰყავდა ხათუნას, თუმცა ერთსულ ლოვანება არც იქ იყო.

— ქალო, არ გაგვიჩენოდეს ე არგასაზრდელი, კარგი იყო, გაგვიჩნდა და რა გაეწყობა ღვთის რისხვას! ვინ ოხერი იგუებს მა ქალა-ბიჭას? — იტყოდა ხოლმე გაჯავრებული მამა, სტეფანე მეტრეველი, და მუგუზლებს ბოღმისაგან ჯოხს ჩასცხებდა, ნაცარში ჩააფურთხებდა.

— შენ შავის ხელიდან დარეკა შითხარი, თვარა თუ ოჯახს მოეკიდა, გაგიხარია ის ჰკუაში ჩავარდეს! — უპასუხებდა დაჯია, რომელსაც დედის ნაცადი ინსტიქტით სწამდა, რომ ხათუნას ანცობა აბორგებულ გოგოს ცელქობა იყო და რომ გათხოვებასთან ერთად დადულდებოდა და ოჯახის ქალო დადგებოდა.

— რას ერჩით საწყალ გოგოს, განა რას სჩადის მაგდენს? — გამოე-სარჩლებოდა რძალი სიდონია, რომელსაც ხათუნა ხელზე ეხვეოდა. საქმეს უთქმელად და სწრაფად უკეთებდა.

ძმებსა და დებს ხათუნა ხშირად ატირებდა, მაგრამ მაინც ბარტყე-ბივით მუდამ პირსა და თვალეზში შესცქეროდნენ.

სოფლის ბიჭები კი ხათუნაზე ლექსებსა სთხზავდნენ, ხათუნაზე ოც-ნებობდნენ, ხათუნაზე ერთმანეთს ეცილებოდნენ.

## II

როდესაც შემოდგომის მზის ნელ-თბილი სხივები მწვანე ტევრებზე ოქროსფერ ქობას მოავლებენ, წითური ვაშლი გაბუტული ბავშვივით ლოყებს გაიბერავს, მკვრივად ჩასხმული მტევნები ვაზებს ძირს დახ-

ზიან, როდესაც კაკლის ნაჭი დაიხარჩება და კაკალი ძაფზე-ლა ჰკიდია, კვანები, ნესვები და საზამთროები ბალ-ბოსტნებში შეპარული და გამამდ-ღარი ბურვაკებივით წვანან, ხოლო მოშრიალე სიმინდს ტაროები ქალ-წულის სავსე მკერდივით აეყრება; როდესაც მზის სხივი შაქრად და ცხიმად იქცევა და ყოველი და ყველაფერი ბარაქით გაივსება, — გოგო-ბიჭები გულის ფანცქალით ელიან ნიშნობას და თხოვა-გათხოვებას.

სტეფანე მეტრეველის მეზობელს ქორწილი ჰქონდა: შარშან დანიშ-ნულ ქალიშვილს სოფელში ათხოვებდა. მეზობელს დიდი ქორწილის წე-ლი არა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მაჭარი შემოსული არ იყო: თავმო-წონე სასიძოს კი „ძველობაზე“ ქორწილის გადახდა სასახელოდ მიაჩნდა და ამიტომ ცოლეურს პურით, ღვინით და საკლავით დახმარება შესთა-ვაზა. მაგრამ მეზობლებმა იუკადრისეს და, თუმცა ასეთ დროს კარზე შესაწევარი სავალდებულოდ არ ითვლებოდა, პური და ღვინო მაინც მიაყენეს. ესეც რომ არ ყოფილიყო, ჩვეულებას ვერ უღალატებ-და. ჩვეულების მიხედვით კი უბნის დიდი და პატარა ქორწილში დაუბა-ტიყებლად უნდა მისულიყო, ხოლო სხვა უბნებიდან ოჯახზე თითო ქა-ლი და კაცი სწევოდა. ამას ემატებოდა სხვადასხვა სოფელში მყო-ფი ნათელ-მირონი, ძველის-ძველი სიძე-ქალიშვილი და მათი ნაშიერი...

ხათუნა ორი დღე და ღამე ჩაუმუხლებლად ტრიალებდა მეზობლის ოჯახში. თუმცა საკმაოდ იყო იქ ქალი და კაცი, მაგრამ ყველაფერში შინაური და გამოსადეგი ხათუნა ყოველგვარ სამზადისში წილს იღებდა: შესაწევრის დათვლასა და მილაგებაში, მზითვის გადათვლასა და ჩაწყობაში, გამოცხობა-მოხარშვის ვარაუდში, ჭურჭლის ნათხოვრობა-მომხარა-ვებაში. უფროსებს ყურს უდებდა და საქმეს დინჯი გამოცდილი ქა-ლის თვალთ ზომავდა, — მომავალი მეოჯახე ქალი სკოლას გადიოდა.

როდესაც ყოველგვარი მზადება მოთავებული იყო, ხათუნა სადღე-დოფლოსთან ერთად ჩარდახში ჩაიკეტა: ფერწასული გოგო საუბნო ბრუტიან და საღებავ-გადაცლილ სარკის წინ ატრიალა. გუნდით შეღე-ბილ წარბებს ჰბანდა, ძაფით პირსა და წარბებს უქნიდა. ტანისაშოს უსინ-ჯავდა და უსწორებდა. მაგრამ მოჰყვა თუ არა მზის ამოსვლას მაყრული, სროლა და თქარა-თქური, ხათუნა თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა.

ბავშვები ყვილ-ხივილით აიშალნენ, ღობეებსა და ხიმეებზე ბელურე-ბივით შესხდნენ, მაყრიონის გამოჩენას კისერ-წაწვდილნი ელოდებოდნენ. წამოჩიტული გოგოები ღობეებიდან იჭვრიტებოდნენ, გამაყრუებელი სროლით ფერდაკარგულნი ყურებში თითებს იცობდნენ, მაინც გულის ფანცქალით იცქირებოდნენ.

ხათუნა სახლში შეფრინდა, ჩითის კაბა გადაიცვა, ერთხანს წყლიან გობთან (რაც სარკის მაგივრობას სწევდა) იტრიალა, კამარაჲ ჰკრა და გო-გოებს შეუერთდა.

ცხენოსანი მაყრიონი ეზოში ლაშქრულით, სროლით და ცხენების გელვებით შეჯირითდა. ჩამოხტნენ, შეხურებულ ცხენებს მოსართავები მოუშვეს, საოფლეები გაუსწორეს, ღობის სარებზე გამოაბეს. ნეფე თა-ვისი ამჟლით და მახლობლებით ქალის მზითევის გადათვლას შეუდგა, მაყ-

რები ცეცხლის პირას მოხარშულსა და შემწვარს უტრიალებდნენ, თანაც მხარეულებს სიტყვას გადაუკრავდნენ ხოლმე.

ხათუნამ გოგოები კალოზე გაიყვანა და შაირი და ცეკვა გააჩაღა. ბიჭები სხვა მაყრებს ნელ-ნელა გამოეყვნენ, სასმელსა და საჭმელს გოგოებში გათამაშების ცდუნებამ დასძლია. ბიჭები შორი-ახლო დადგნენ. მათგან განსაკუთრებით ორი ყმაწვილი ერჩეოდა: ერთი შუატანისა, ჩასქელებული, ახლად გაპარსული სახით, ვერცხლის მასრებსა, ქამარხანჯალსა და ხმალში ჩამჯდარი, ვერცხლისავე ტარისა და ბუდის რევოლვერით, თეთრ თივთიკის ჩოხასა და აბრეშუმის ახალუხში, ბუხრის კრაველის ქუდით. მეორე წელ-წვრილი, მხარ-ბეჭიანი და მაღალი, ახლად წვერ-ულვაშ შემგინგლული, შინ მოქსოვილ შალეულ-ბამბეულში, სადა ქამარ-ხანჯლითა და დამბაჩით.

ხათუნამ მათი ვინაობა ჩუმად გამოიკითხა და გაიგო, რომ ჩასქელებული, თეთრად გაპუნტული კისრისა და სახის პატრონი დათო რეხვიაშვილი იყო, — „მოგარეთე“, კარგი მშოვებელი, ქალაქში მიკიტნის ხელობაზე მოხუშავე. ფულს ჩეჩქივით აბნევდა, კარგად ილხენდა, ქალაქურად ცეკვაობდა და მღეროდა, ჭურ ღვინოსა სცლიდა. მაგრამ ხათუნამ ისიც გაიგო, რომ ქალაქიდან რაღაც ავადმყოფობა მოეტანა, რის გამო საჯდომ ადგილს სველადა სტოვებდა. მეორე, ტანწვრილი და მხარ-ბეჭიანი, შინ მოქსოვილი შალეულ-ბამბეულით, „შინა-კაცი“ იყო, — ზაქრო გოზეჯიშვილი. გათამამებული „მოგარეთე“ ბიჭი გოგოებს ამაყად და ურცხვად უცქეროდა, „შინა-კაცს“ კი მოკრძალება ეტყობოდა.

დათო დარდიმანდულად გადახტა:

„ქალაქიდან წამოვედით  
მე და ერთი ომანაო,  
ფული ბევრი მოვიტანე,  
ერთი სავსე ტომარაო.  
გოგო, ერთი მაკოცნინე,  
თუ გსურს ვერცხლის ქამარიო,  
ჩემი მჯობნი ჩემ ტოლებშა,  
ერთი მითხარ, სად არიო?“

გაეშაირა ხათუნას და საჩქმეტად ხელი წაატანა.

აპრიალბულმა ხათუნამ სული მოითქვა და დაურიდებლადვე უბასუნა:

„იქით ტყე, აქეთ თხილორი,  
გორაზე ეკლესიაო,  
მე შენი კოცნა რად მინდა,  
ბალღივით ქვეშაფსიაო.“

ალეწილი და წარბ-შეკრული დათო გოგოების ტარციალში წრიდან უხმოდ გავიდა. ხათუნამაც, იგრძნო რა, რომ გადაამლაშა, შაირობა მი-

გობარ სოფოს გადასცა, ხოლო თითონ გვერდზე გადაა. გათამამებულმა სოფომ ბიჭების საკილაგი შაირი მიაყოლა:

„საფეიქრო გავაკეთეთ,  
ქსოვა მოგვისურვებია,  
თქვენისთანა ბიჭ-ბუჭები  
ბევრი გაგვიცრუვებია.“

ვაჟებიდან ზაქრო წამოდგა, პასუხად შეაგება:

„მონადირემ მეელი მოკლა,  
თხა აკიკინდა, გაიქცა,  
თხაო, რას ატრუებულხარ,  
განა სამგლეთი დაიქცა?“

„შაბაშ თამაში!“ დაიძახა ვილაცამ. სახლისკენ მიიხედეს. სახლიდგან ნეფე-დედოფალი გამოდიოდა. ცეკვა დაიშალა. ხათუნამ უკან მიიხედა, მაცქერალ ზაქროს თვალი მოავლო და ღიმილი დაუტოვა. სახეგანათებული ზაქრო დათოს დაეწია. დათომ თვალი შეავლო, ტუჩების კუთხეებში ბოროტად ჩაიციხა და გაბრაზებულმა ცხენზე იყარა ჯავრი: მოსართავი ძალზე მოუჭირა.

ნეფე-დედოფალი მაყრიონით ეკლესიისკენ დაიძრა. ხათუნამ ამხანაგები აიყოლია, მოკლე ბილიკებით აღმართი აირბინა, მაყრიონის მისვლამდე გაჭედო „საქალებოში“ დადგა და ღია კარიდან მაყრიონის მისვალ გზას დაუწყო ცქერა. წირვა კარგა ხნის გამოსული იყო, მაგრამ ეკლესიას ხალხი ემატებოდა კიდევ.

გოგოები ერთმანეთს მუჯღუგუნს სცემდნენ და ჩქმეტდნენ. გადამწიფებული ქალიშვილები წინა რიგებში იდგნენ, წამოჩიტული გოგოებიც წინ მიძვრებოდნენ და მოწიფული ქალიშვილების წყევლასა და ბუზღუნს ყურს არ უგდებდნენ.

ეკლესიიდან დაბრუნებულ ნეფე-დედოფალს და მაყრიონს დედოფლის ოჯახი გაშლილი ხელით და სუფრით შეეგება. სუფრის თავში ნეფე-დედოფალი დასხეს. ცალ მხარეს ნეფის მაყრიონი მიუსვეს, მეორე მხარეს დედოფლისა. სხვა სტუმრები კედელთან გაყოლებულ სუფრებს მიუსხდნენ. ნეფე-დედოფლის სუფრის ბოლოში თამადა იჯდა, წინ „ჯიხვი“ ედო. თამადა და „ჯიხვი“ ერთად წამოდგნენ. თამადა ქუდმოხდილი ლოცავდა ნეფე-დედოფალს, „ჯიხვი“ უსმენდა, თავს უკრავდა: „ჯიხვმა“ სუფრას ლობურად ჩამოუარა და მერიქიფის თანხლებით ისევ თამადას დაუბრუნდა.

მზე იწურებოდა. „ჯიხვი“ მეთათე წრეს აკეთებდა. მაყრების აშლის დროც ახლოვდებოდა.

გოგოებმა დარბაზის შუაეცესლზე დაირა გაახურეს და თამადის ნებართვით დაირას ტაში ააყოლეს:

— ტაში! — წამოიძახა ზაქრომ და ათმა „ჯიხვმა“ ისედაც ფრთაშესხმული ყმაწვილი სუფრას ფეხდაუკარებლად გადააფრინა. ყმაწვილმა

მხრები გაშალა, წრეს დაუარა. ორბი წრეს უვლიდა, თვალებს აბრია-  
ლებდა. მსხვერპლი ბუჩქში შემძვრალი ხოხობივით გაინაბა.

— გოგოვ, გადადი! — წასჩურჩულეს ხათუნას მეგობრებმა.

— ბეჩა საით? იქნება მე კი არ მეთამაშება! — ჩურჩულითვე უპასუ-  
ხებდა ხათუნა და მოკრძალებით თავდახრილი იდგა.

მაშინ კი, როდესაც ონავარმა დაუქროლა და თვალი თვალში შეანა-  
თა, ხოხობი ბუჩქიდან ამოხტა; კამარა ჰკრა, ონავრის ფრთებში გაძვრა  
და გაინავარდა. ონავარი მსხვერპლს იჭერდა, მაგრამ ხოხობი ხელიდან  
უსხლტებოდა.

პირველმა წყვილმა ცეკვა გაათავა. ზაქრომ პირამდე ავსილ დამბაჩას  
თავი ზევით უქნა. გრგვინვამა და დენთის ბოლმა ხილვა დაჰფარა, სმენა  
დაახშო.

ცეკვა გახურდა. ახლა სხვა წყვილი მოდიოდა გოგმანით.

ზაქროს შორეული ნათესავი გოგო დაესწორა, ხელი ჩამოართვა, მოი-  
კითხა. თავდახრილი ხათუნა იქვე გვერდით იდგა. ზაქრო ნათესავ გოგოს  
ემასლაათებოდა, მაგრამ თვალი და გული ხათუნასკენ ეჭირა. უცბად  
შასლათი მოსჭრა და ხათუნას მიმართა:

„გოგუნუკავ შავთვალაო,  
ცოლად გამოძყეო თანაო,  
თუ უარს მეტყვი, ის მიჯობს  
გულზე დამასვა დანაო!“

ხათუნა შეწითლდა, მაგრამ თავი ასწია და გაბედულად მიუგო:

„შინა-კაცი ქალი არი,  
გესმის, სახე-ქაცვიანო, —  
რომ წამოგყვე, რას ჩამაცმევ,  
თვით შენ არა გაცვიანო?“

ზაქროს თავისი „შინაკაცობა“, ტანისამოსი და მორთულობა მანამ-  
დეც გულს უღრღნიდა, მაგრამ ასე მწარედ მხოლოდ ახლა განიცადა,  
ფერძნო, და ხათუნას გარდაწყვეტილად მიუგო:

„ოლონდ ჭაბუკს ნუ გაჰკილავ,  
გულს ნუ დასერავ დანითა; —  
ქალაქს წავალ და მოგიტან,  
რაც არ გენახოს თვალითა!“

თან ხელი გაუწოდა. სიამოვნებისაგან ალანძულმა ხათუნამ ხელი  
ხელში ჩაუდო. მაგრამ სანამ თვალეზ-ანთებული ზაქრო დასთათავდა,  
ხათუნამ ხელი გამოგლიჯა, შეტრიალდა და გოგოებს შეეერთა. გაბრწყინ-  
ებულ ზაქრო სუფრას დაუბრუნდა.

— ალავერდი ჩემ ძმას! — წამოიძახა დათომ და წყვილი ყანწი მია-  
გება ზაქროს, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტად განაგრძო:

— თუ სმავ, სმა იყოს... რა დროს ცეკვა და პამპულობაა! სმა სმას უნდა ჰგავდეს, ღვინო-ღვინოს და თამადა-თამადას.

დათოს ერთი ყანწი თამადის ნებართვით დაელია, მეორე კი რიგ გარეშე მიეღო. ორი ყანწის დაცლა ზაქროსათვის კისრის მოწყვეტასა და „თავისმოჭრას“ ნიშნავდა, არ დალევა — ჩხუბსა და აყალმაყალს, მაყრონის თავის მოჭრას. გამოჩნდნენ მომხრენიცა და მოწინააღმდეგეც. სუფრა აიმრიზა. ზაქრომ ყანწები ჩამოართვა და ზედმიყოლებით დალია. დასცალა და დაჯდა.

ოჯინჯარმა და კედლებმა ფეხი აიდგეს, დატრიალდნენ, თამადა გაორდა, მომღერალი და მოცინარი სახეები ერთმანეთში აიზილა. ხანდახან ზაქრო კისერს მყივან მამალივით წაიგრძელებდა, სლოკინს ამოუშვებდა, მაგრამ პირს მავრა მუწავდა. ვილაცამ ჭილი ნიორი და ხმელი ლავაში მიაჩეჩა, შეჭმა ანიშნა. დაკრეჭილ კბილებში ლუკმა ხელმა ძალით შესჩარა, ზაქრომ ოფლის დენით გადაყლაპა, და კრიტიკული მემენტიც გადატანილი იყო.

„წასვლა სჯობს და წამავალისა, არ დაყოვნება და ხანისა!“ — შემოესმა. აიშალნენ. ზაქრო დაკვირვებით წამოდგა; გაზომილი ნაბიჯით გაჰყვა სხვებს, მიბმულად ცხენის ადგილს ვარაუდით დაესწორა, ღობის სარებს ხელი ჩასჭიდა და... ცხენის მაგიერ ღობეზე შეჯდებოდა, რომ ჩოხა ვილაცას არ დაეწია. ავჯანდები დაუჭირეს. გაქანდა, უნაგირს მოედო. წონასწორობას ვერ იცავდა და მეორე მხარეს გაიშხლართებოდა, რომ წყვილი ხელი ბოჯგებივით არ მიჰგებებოდა. ვილაცამ ჯიბეში რაღაცა ჩაუდო, ორი ცხენოსანი გვერდში ამოუდგა.

ეს ვილაც ორი ცხენოსანი ხათუნას ბიძაშვილები იყვნენ, დედოფლის მაცრები, რომლებმაც ხათუნას დავალებით ზაქრო „თავის მოჭრას“ ააცლინეს. ის რაღაც, ჯიბეში რომ ჩაუდეს, ხათუნას ხელით მოჭარგული ხელმანდილი იყო.

### III

ღამის ერთი პირი ძილი გადასული იყო, როდესაც ათიოდე ცხენოსანმა სასოფლო გზიდან ორღობეში თქარა-თქურით შეუხვია, მიხურული ალანგა გააღო, ძაღლის გაათვრებულ ყეფას არ მოერიდა და ბნელით მოცულ ეზოში შეჯირითდა. წამს შედგნენ, დაიშალნენ: ზოგმა ორღობის თავსა და ბოლოს მიაშურა, ზოგმა სახლს მოუარა, ხუთიოდე კაცი კი ჩამოხტა და სახლის წინა კარებს მიაღწა.

— ვინ იწუხება ამ შუალამისას? — მოისმა სახლიდან. გაბოროტებული ხმა.

— ურადნიკი ვარ სტრაჟებით. ახალთაობის ხალხი მალავს იარაღს თქვენსა, გაგვიღეთ კარი! — მიაძახა უხეშმა ხმამ.

— არა მომიკვდა რა, ჩემ სახლში არყის სამილე თოფის ლულისა და ხანჯრის მეტი არა იყოს რა!

— მაგას ვნახავთ! — მიუგო იმავე უხეშმა ხმამ და კარებს ხელი ჰკრა. სავდელი გაჩხარუნდა და ხუთი შეიარაღებული კაცი სახლში შევარდა.

საჩქაროდ კაბა-გადაცმული დედაკაცი გვერდზე დადგა და თავზავით აწეული ჭრაქით მოსულები აათვალთვინა.

— ვაი მე, დედა, ჩემ მოსატაცებლად არიან, ბეჩა! — იკივლა ტახტიდან გოგომ, პერანგის ამარა წამოვარდა და დედას კისერზე მოეხვია.

ხუთი შეიარაღებული კაცი უხმოდ და გაუნძრევლად იდგა.

— ჰა, რაიო? — გამოერკვა დედაკაცი, — შენ მოსატაცებლათო? აქაო და კაცები შინ არა ჰყავთ, ქალებში ვაჟკაცობას გამოვიჩინთო... ქალის ლეჩაქი კი დაგახურეყე თქვენა!.. — აკანკალებულ შვილს ხელი ჰკრა, ანთებული ჭრაქი შეიარაღებულებს სახეში მიახალა, მუგუზალს დასწვდა და დატრიალდა.

სამი დედაკაცი ხუთ შეიარაღებულ ვაჟკაცს ეძგერა. ქალები ფრჩხილებითა და კბილებით იბრძოდნენ და წყევლა-კრულვას იშველიებდნენ. პაგრამ ძალამ ძალასა სძლია: რძალ-დედამთილი საბნებში შეჰკრეს და ლოგინზე დააგდეს, დედაკაცების წყევლასა და ბავშვების წივილში ქალიშვილი ნაბადში გაახვიეს, ეზოში გაიტანეს და ცხენს აჰკიდეს.

— კარგი, დათო, რაკი ასეა საქმე, შევჯდები მაინც, — სთქვა გმინვით სახსრებ-დაბეჭილმა ხათუნამ.

ჩამოსვეს. ხათუნამ ნაბადი მოიხსნა, თავი ჩაბალახით გაიკრა და ცხენს მარდად მოეველო. შეიარაღებული ბიჭები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, ცხენებს ქუსლი ჰკრეს და ორლობე გაირბინეს.

— მიშველე სოფელო! — გაჰკიოდა ძაღლების ყეფასა და კარების ჭრიალში სასოწარკვეთილი ქალის ხმა. დაჯია სოფელსა სძრავდა.

სახლებში სარკმელებს აღებდნენ, ჟინჟილებს და ჭრაქებს აციალეზდნენ. შეიარაღებულმა კაცებმა ცხენები შეაყენეს, თოფები დასცალეს. პასუხად მუქარა, კანტი-კუნტი სროლა და აშლილი ძაღლების ყეფა იყო.

შეიარაღებულებმა გზას გადაუხვიეს და დათოს სოფელში ღუმილით შევიდნენ. გაჩირაღდებულ ორსართულიან სახლიდან მათ სტუმარ-მასპინძელი გამოეგება, ნაბდიანი და ჩაბალახიანი საპატარძლო ჩამოსვეს; გადაჰკოცნეს, ოდაში აიყვანეს, ტანისამოსი ჩააცვეს. ათ შეიარაღებულ კაცს ცნობისმოყვარე ხალხი შემოესია. გამარჯვებულნი კითხვებზე ძუნწად უპასუხებდნენ, ჩამოხეულ საყელოებს, შემოგლეჯილ კალთებს, ნაკბენ ხელებსა და დაკაწრულ ადგილებს მალავდნენ. ხოლო ვისაც დამალვა არ შეეძლო, — ერთ სახე-დამწვარსა და შეორეს თავგატეხილს, — მასპინძელი სახესა და თავსა ჰბანდა, მალამოს ადებდა, უხვევდა.

სადედოფლოს თავს ევლებოდნენ. „პოლსაპოქკებით“ კაბებით და სახურავ-მოსასხამით, ტკბილი სიტყვით და მრავალი დაპირებით ლამობდნენ მისი გულის მოღობვას. სადედოფლოს ჯიუტობა არ გამოუჩინია. საჩუქარი მიიღო, ტკბილ სიტყვაზე ღიმილით უპასუხა. მალე სუფრაც გაიშალა. ხელადა სუფრას ღობურად მიუყვებოდა, „მრავალუამიერს“ „ღმერთო, ბედნიერი ქენი“ სცვლიდა.

როდესაც თამადამ ნეტე-დედოფლოს სადღეგრძელო ასწია, გარედან ჩოჩქოლი მოიხმა. ყურმა მუქარა და სროლა დაიჭირა. ბიჭები



წამოცვივდნენ, იარალი აისხეს, ეზოში გადაეშვნენ. დათომ კი ხათუნას ხელი მაგრა ჩასჭიდა, გვერდით მოისვა, რევოლვერი იშიშვლა.

შუაკაცებმა ხათუნას ბიძა და ზაქრო გობეჯიშვილი შემოიყვანეს. ზაქროს ნაცრისფერი ედო, ბიძას ჭალარა წვერი უცახცახებდა.

— ცუდი საქმე გიქნია! — დაიძახა შემოსვლისასვე ბიძამ. — ვფიცავ მამიჩემის სულსა და სალოცავს, ძვირად დაგიჯინო ეგ თავხედობა... თუ ქალი ძალი-ძალით წაიყვანე!

— დიაცებზე თავდასხმა რა ვაჟკაცობაა? — შემართა კითხვა ზაქრომ და სატევარი იშიშვლა.

— ქალს ცოცხალი თავით ვერ წაიყვანთ, სისხლიც ტყუილ-უბრალოდ დაიღვრება! — სთქვა გადაწყვეტით დათომ და რევოლვერი ფეხზე შეაყენა.

ქალებმა იკივლეს. სასიხარულოდ გაჩირაღდნებულ დარბაზში სისხლის სუნნი დატრიალდა.

— ბიძა ჩემო, რაც მოხდა — მოხდა, თავის მოსაჭრელად და ცოდვის ასაკიდებლად შინ დაბრუნება აღარ მინდა, — სთქვა ხათუნამ და თვალი ზაქროზე გადაიტანა.

ზაქროს გულს ეს შეხედვა ისარივით მოხვდა. სატევარი ჩააგო, ფეხი აითრია, წელმოწყვეტილი გზას გაუდგა. შუაკაცებმა ხათუნას ბიძა და მისული ნათესაობა დაიყოლიეს. სამტროდ მისულ შეიარაღებულთ და ნეფის მაყრიონს იარალი ნებაყოფლობით აჰყარეს, სახლის კარი სალხინოდ გაუღეს. ხათუნა თავს დასტრიალებდათ, დათო თამადაობდა. როდესაც სტუმარ-მასპინძელს ღვინო მოეკიდა, ზოგი ტახტზე, ზოგიც კუთხეში მიწვა. ხათუნამ ქურდული თვალით მიმოიხედა და დინჯი ნაბიჯით კარებისკენ წავიდა. კარს რომ გასცდა, იქვე დაკიდებული ნაბადი მოისხა, ჩაბალახით თავი გაიკრა, კიბე საჩქაროდ ჩაირბინა და იქვე მიბმულ ცხენს მოახტა.

დღე და ღამე იყრებოდა, როდესაც ხათუნამ ცხენი თავისი სახლის ეზოში შეაგდო. შინაურები და ეზოში თავმოყრილი მეზობლები გამოტირებულ ხათუნას ვიშ-ვიშით შეეგებნენ. აღტაცებულმა მეზობლის ბიჭებმა ორიოდე თოფი შეაგროვეს, ხელკეტები ამართეს. დაჯიამ ცრემლი მოიწმინდა, ნაჯახით ეზოში დატრიალდა.

მზის ამოსვლას დათოც მოჰყვა თავისი მაყრიონით. მალე ზაქროც გაჩნდა ორიოდე ბიჭით. ხმალ-ამოწვდილი დათო ეზოსკენ მიიწვედა. ზაქრო შიშველი სატევრით მოემზადა დათოსკენ გადასახტომად. დამხვდურნი შეეყოყმანდნენ.

— ჰაი, ჰაი! ვინ ძაღლმა და მამაძაღლმა გამიბედა ოჯახის შერცხვენა?! — დაიძახა სახლის უკანიდან სტეფანემ, თოფი შემართა და ეზოში წამოიჩოქა.

თოფმა იგრილა. დათოს ცხენმა ჩაიკეცა, ცხენოსანი მიწაზე გაიშლართა. დათოს მაყრიონი უკუ იქცა.

— ახლო არავინ მოვიდეს! — შესძახა სტეფანემ, ტყვია თოფში ჩააგდო და ზუმბით მაგრა ჩაჭედა.

სწორზე კი ზაქრომ ორი სოფელი შეჰყარა. სამოციოდე მაყრის თან-  
ხლებით გუშინდელი ქალა-ბიჭა და დღეს კი ვაჟკაცობით. სილამაზით  
და მოხერხებით განთქმული შევთვალა ხათუნა თავის სახლში მიიყვანა.  
ორმა ნებეირმა, რამდენიმე თხა-ცხვარმა და ოცკასრიანმა ჭურმა მექორ-  
წილენი სამ დღეს აქეიფა.

მეოთხე დღეს დილა-ადრიან ზაქრომ ხარები დააუღლა და შთისკენ  
ვასწია. ხათუნა შილებსა\*) და მულებს სახლის დალაგებაში წაეშველა.  
და მათთან ერთად ლობიოს საკრეფად გავიდა. და ასე ყოველ დღე:  
ახლად-ჯვარდაწერილი ქალი და ვაჟი გარიჟრაჟზე შორდებოდნენ, ერთ-  
მანეთის ნატვრაში აღამებდნენ, ვახშმად შეხვედრისას ერთმანეთს თვალს  
ვერ უსწორებდნენ და მხოლოდ ნავახშმევს შეიყრებოდნენ, რომ გარიჟ-  
რაჟზე კვლავ გაყრილიყვნენ, დღისით მთვარეულებივით დადიოდნენ და  
მზის გადახრას გულის ფანჯრალით ელოდნენ.

ქორწინების დღის სწორზე კი ზაქრომ კუდა-ნაბადი აიკრა. ცული  
და ხერხი მხარზე გაიდვა, ოჯახსა და ახლად შერთულ ცოლს გამოემ-  
შვიდობა.

— გოგოვ, თუ შემინახავ ნამუსს? — შეეკითხა ჩურჩულით ზაქრო  
ორი ღამის წინ მკლავზე მწოლარე ხათუნას.

ხათუნა კითხვას ვერ მიუხვდა, მაგრამ დაბეჯითებით უპასუხა:

— კუბოს ფიცრამდე... უწინამც მიწა ჩამწყვეტია! სოფელ-ქვეყანაა,  
სორცხვილ-ნამუსი. ადამიანობა... განა ვიზამ მაგისტანა რამეს? რავა,  
რატო მეკითხები?

— გოგოვ, კავკავს უნდა წავიდეთ ბიჭები, მოლაპარაკება გვაქ, ზამ-  
თარს აქ ცეცხლაპირა ტყუილა-უბრალოდ ჯდომას ტყეში წავალთ, ორი-  
ოდ გროშს ვიშოვით. მიწა რომ პირს იზამს, ისევე მოვალთ... შეიძლება  
შევიგვიანოთ... — სანახევროდ გამოახვამიდა ზაქრომ გულისნადები.

ხათუნას წელი მოსწყდა. ზაქრო იყო მისი სუნთქვა, გულისცემა,  
სიცოცხლე და სიხარული, მაგრამ გულს ხუფი დაადო. არც დიდ და  
უცნობ ოჯახში მარტო ყოფნას დაერიდა და ზაქროს კვერი დაუკრა,  
მხოლოდ გააფრთხილა:

— კაი აზრია... შენ ჩემი ნამუსისა და საქმის ნუ გეფიქრება, თვი-  
თონ შენა ხარ საეჭვო: უცხო ქვეყანაში მიხვალ, ამბობენ, რომ იქ უსირც-  
ხო ქალები არიანო...

— დამბლა დამეცეს, თუ მე შენ გიღალატო! — მიუგო ზაქრომ.

ახლად ჯვარდაწერილმა ქალ-ვაჟმა ერთმანეთს ერთგულება შეჰფი-  
ცეს და ფიცი მხურვალე კოცნით განამტკიცეს.

#### IV

ხათუნა ოჯახის საქმეს მოეჭიდა. ოჯახი დიდი იყო: ორმოც სულამ-  
დე დიდი და პატარა; ორმოცდაათამდე მსხვილფეხა რქოსანი საქონელი  
ჰყავდა, ხუთი ცხენი, ასიოდე თხა-ცხვარი. მიწებიდან გამოყოფილი ჰქონ-

\*) შ. ი. ლ. ი — ზემო რაჭაში მაზლის ცოლია.

და სამოსახლო, ვენახი, ორიოდ ნაკვეთი მიწა. მთელი დანარჩენი სახ-  
ნავ-სათესი, ტყე და მინდორი, სათიბ-საძოვარი მეზობლების საზიარო  
ჰქონდა: ერთად ხნავდნენ, ერთად შვიდნენ, ერთად სთიბავდნენ და სამუ-  
შაოდ თითოეული ოჯახიდან მუშა-ხელის თანაბარი რაოდენობა და ხარი  
გადიოდა.

ოჯახის საქმეებს პაპა როსტომა და მისი ცოლი, დიდედა მარინე განა-  
გებდნენ. დიდედა მარინეს ოჯახის შინაური საქმე ეკითხებოდა: მზითვის  
მიცემა და მოყოლილი მზითვის სარგებლობის დაწესება, ოჯახისათვის  
ჭურჭლეულისა და ფართლეულის შეძენა, ქორწილსა და ტირილში ანგა-  
რიშის გასწორება, შილებს შორის წამოჭრილი დავის მოგვარება.

პაპა როსტომას ვალდებულებას შეადგენდა: ოჯახსა და მთავრობას  
შორის დამოკიდებულების საქმეები, სხვა ოჯახებთან ანგარიშის გაწევა,  
ვაჟიშვილებს შორის მუშაობის განაწილება, მუშაობის ვადების დაწე-  
სება. საქონლის ყიდვა-გაყიდვა, საკვებისა და სარჩოს მომარაგება-ანგა-  
რიში, საოჯახო იარაღის შეძენა, ხელმძღვანელობა შრომელების გაკეთე-  
ბაში. ვაჟი-შვილებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გადაჭრა...

უმცროსი ვაჟი ზაქრო გარეთ შემდეგი პირობით გაუშვა: ზამთრის  
განმავლობაში ხუთი თუმანი ნაღდ ვუღლად უნდა შემოეტანა ოჯახში  
„ნაშოვრიდან.“

ხათუნამ რომ ქმრის ოჯახში ფეხი შედგა, დედამთილმა, დიდედა  
მარინემ, გულში ჩაიკრა, გაამხნევა და ოჯახის საქმის ვარაუდში ჩააყენა.  
ხათუნას ნამზივითვი ძროხა და ორი ცხვარი ხათუნას პირად სარგებლობა-  
ში რჩებოდა, თავნისა და მოგების ნახევარი ხათუნასი იყო. ხათუნას  
პირად სარგებლობაში რჩებოდა ნამზითვი ლოგინი, ჭურჭელი და აგრე-  
თვე მოტანილი და, ქორწილის დროს „თავგადასაგდებით“ შეგროვილი  
ფული.

— შენ, შვილო, შეიძლება ორსულადაც იყვე, გირჩენია, სანამ ბალ-  
ლი არ აგკიდებია, ოჯახის ანგარიში გაასწორო, თან ამთავითვე ოჯახის  
ავ-ვარგიც გეცოდინება. ერთი თვე ხაბაზობა უნდა გასწიო, მეორე — შე-  
ჭამანდის კეთება, მერე სხვისა თანაბრად ყანა-ვენახსა და სახლში იმუშა-  
ვებ, წლის ვალი მოლეული გექნება, — ურჩია დიდედა მარინემ.

ხათუნაც ხაბაზობას შეუდგა. დიდედა მარინეს თანადასწრებით შილმა  
ანუსიამ, რომელსაც მორიგების ვადა გაუთავდა. ბელელი, წისქვილი,  
ბუჯერი, კოდები, თონე და კეცები თვლით გადააბარა. წისქვილისა და  
ბელლის გასაღებები გადასცა. ხათუნა სიმინდსა და პურს არკვევდა,  
წისქვილში დადიოდა, დაფქულს გუდით ეზიდებოდა. სკრიდა, შტკიცავ-  
და, კეცებში სვამდა ან თონეში აკრავდა. ყოველ იჯრაზე ახლად დამც-  
ხვარი პური და ჭადი უნდა მიეტანა. ოჯახის სხვა საქმე მას არ ეკითხე-  
ბოდა. არც თავის საქმეში წაეშველებოდა ვინმე.

დიდედა მარინე თვალ-ყურს ადევნებდა, დარიგებას აძლევდა, გამო-  
საცდელად გამოჰკითხავდა, პატარძლის ნაკეთებს ამოწმებდა და სხვა  
რძლების გასაგონად შეაქებდა ხოლმე.

მეორე თვეში ხათუნამ შეჭამანდის კეთება იკისრა — ლობიო, ცერცვი, მუხუდო, შაშხები და ლორები, ყველისა და წნილის ჭურჭლები და ჯამ-ჭურჭელი ჩაიბარა. საიჯრო შეჭამანდი თავის შეხედულებებისა-შებრ უნდა აერჩია, მხოლოდ ნებართვა დიდედისაგან უნდა მიეღო. შეჭამანდის კეთება და ჩამორიგება უფრო ძნელი საქმე გამოდგა: საჭირო ხდებოდა დიდედის წინაშე დასაბუთება, რატომ აკეთებდა ასეთ თავ საქმელს, რამდენი უნდა გაეკეთებინა, როგორ ჩამორიგებინა. დიდედის რჩევით ესეც დასძლია.

ხათუნას უხაროდა, რომ საქმეში პირნათლად გამოდიოდა... მაგრამ ის უფრო ახარებდა, რომ ორი თვის თავზე ორსულობა იგრძნო. იჯდა ზამთრის გრძელ ღამეებში დადინჯებული ქალაბიჭა, ოჯახის შესამოს შალეულისათვის საჭირო მატყლს ჩეჩავდა და ართავდა, შილებისა და მულების ლაპარაკს ყურს უგდებდა და აღდგომამდე დარჩენილ კვირებს ითვლიდა.

ითვლიდა, მაგრამ კვირები გრძელდებოდა. მიწამ პირი ქნა, კვირებიც დაიკეცა, გაგრძელებული დღეებიც მიიწურა... მაგრამ აღდგომის შაბათ დილას ზაჭროს მაგიერ სახლის ღია კარში ტარიელამ შეჰყო დაუბანელი თავი. ხათუნას ელდა ეცა.

„ყბელი ტარიელა“ ბიჭებმა საქმლის მკეთებლად წაიყვანეს, უფრო კი თავის გასართობად. ტარიელას გამოჩენა კარგს არას ნიშნავდა. ტარიელამ სავარცხულში მოიკეცა, ყალიონი ღადარში გაურია და იქვე საქალებოში ჭილობზე შორთხმულ მარინეს ლაპარაკი გაუბა.

— აი, ჩემო დაო და საყვარელო მეზობელო, რა მიქნა კამკავმა. ბუზუკი გამომივიდა მუცელ ქვეით, — ამბობდა ტარიელა, ხონჯარს იხსნიდა და „საყვარელ მეზობელს“ თვალნათლივ აჩვენებდა.

„საყვარელი მეზობელი“ კი იცინოდა, თვალს არიდებდა, პატარძლები თავსაფართით პირს იხვევდნენ, ჩუმ-ჩუმად ფრუტუნებდნენ. მაგრამ ტარიელა არ ეშვებოდა:

— აი, ჩემო დაო, რამხელაა და რავა გაქვავებული! ხელი მოჰკიდე... ქვე რას გერიდება, ჩემო საყვარელო დაო და მეზობელო!

არ მოეშვა ტარიელა, სანამ მარინემ ხელის შეხებით არ დაუდასტურა, რომ „ბუზუკი მართლაც დიდი და გაქვავებულია“. ტარიელამ განაგრძო:

— ეს სულ თავაუღებელი შრომით მომივიდა: ხუთი კაცისათვის ყოველდღე დაცხობა-მოხარშვა და ხულაში ჯდომა მეტად დიდი ჯაფა არის. ბიჭები ცუდლუტობის მეტს არას აკეთებდენ: ხუუკებს ჩიქნიდენ, ბირდაბირს უხრიწინებდენ და ხორუკებს ხოჯილაობდენ. მე კამკავშიც დავდიოდი, მიის-მოის ას ვერს ვაკეთებდი (ტყიდან კავკავამდე სულ 5 ვერსი იყო), მარა ამდენ შრომას ვინ აფასებს! პირველად ურუსულოთ გამიჭირდა ვაჭრობა. ბიჭებმაც თავი აიგდეს... ერთ საღამოს დაღალულ-გაოფლიანებულმა ბიჭებმა (ხვთის წინაშე, კაცმა რო სიმართლე თქვას, ისინიც ქვე იყვნენ ჯაფაში) მითხრეს: ბიძია ტარიელა, შენ ქვეყანაზე ნავალი კაცი ხარ, ჩადი კამკავს, ხორცი და კარტოფილი ამოიტანე, წვნიანი

და ხორცეული გვაჭამე, თვარა, მართალია, წმინდად აცხოვ, მარა ხმელმა ჭადმა და უმარილო ლომმა ყურები ჩამოგვაყრევინაო. წასვლით კი წავალ, მარა ცოდვა გატეხილი ჯობია, რუსული არ ვიცი-თქვა. რუსულს ჩვენ ვასწავლით, აი ლალაკოს რუსული თელ რასიაში გადისო. ლალაკუნამ კი მითხრა: თუ გინდოდეს კარტოფილი ასე უთხარ: კართუშიკი ნი ხაჩუო, მივადექი მედუქნე რუსს, რუსო, კართუშიკი ნი ხაჩუ-თქვა, — ვეუბნები. ნი ხოჩიშ და უბირაისია შენისხმარტლიო. ეს კი მეტის მეტი იყო. ტარიელასთვის ჯერ უშნო ქართული არავის უთქვამს, ეს ვილა ძალღიმამძალღიმა-თქვა, — და ჯოხით დავტრიალდი. იქ ერთი ოჯახაშენებული ქართველი კაცი დამესწრო, მოგვარიგა. მედუქნემ ჩემი ამბავი გაიგო, ბევრი იცინა, ფეშკაშათ ჭარხალი, ხახვი და ოხრახუშიც კი გამატანა... მარა გაგიხარიაყე მე რო რუსული ვისწავლე...

და აქ ტარიელა მოჰყვა გაუთავებელ ამბავს. ხათუნა და დიდდა მარინე ყურდაცქვეტილნი უსმენდნენ, ეგების სთქვას ზაქროს ამბავიო. კიდევ დააპირეს ზაქროზე კითხვის მიცემა, მაგრამ ტარიელა თავისას ჰყვებოდა. მზეც ჩავიდა, სოფელი სააღდგომოდ ემზადებოდა, ეკლესიის ზარები რეკდნენ, ტარიელა კი თავის თავგადასავალს განაგრძობდა. როდესაც ყანიდან კაცები დაბრუნდნენ სავანშიოდ, სუფრა გააწყეს, კიდევ აიღეს. ზოგმა დასაწოლად გასწია, როსტომამსაკარცხულში ჩაიძინა. ქალებმა სააღდგომო სამზადისი განაგრძეს. ტარიელამ მხოლოდ მაშინ ამოიღო გულის ჯიბიდან წვირიან ხელსახოცში გაკრული „ნუმეშნიკი“ და შეანჯღრია. როსტომამ ცალი თვალი გაახილა.

— აია, ჩემო კეთილო მეზობელო, ბიჭმა ხუთი თუმანი ოჯახს გამოუგზავნა, სამი ხათუნას და ბევრი მეხვეწა: თუ კაცი ხარ, რავაც მიხვიდე, ჩემი ამბავი უთხარიყე ჩვენებსო...

— კი, მარა თვითონ ბიჭი რა იქნა? — იკითხა როსტომამ. ხათუნას ცხელი ქვაბის კარბა შერჩა ხელში, პალოსავით დაერჭო. დიდმა და პატარამ ყრიაძული შესწყვიტა.

— ბიჭი? ბიჭს ქვე რა უჭირს, ამირაკაში წავიდა.

— ამირაკაში? — შესძახეს ერთხმად როსტომამ და მარინემ, შვილებმა და ძმებმა. ხათუნას მუხლები მოეკვეთა, მარინემ მუხლებზე ხელი დაირტყა, როსტომამ საკარცხულიდან წამოიწია.

— რა შეგზინებიაყე, განა ეგრე შორსაა ამირაკა? აგერ ორბიჯზეა, კარის ყურზე... — სთქვა და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მართლაც შორს უნდა ყოფილიყო და გასამხნეველად დაუმატა: — მარტვა კი არ წასულა, ხუთივე წავიდა... მეც ქვე წავიდოდი, მარა სახში ამბის მომტანი აღარავინ იყო.

მოისმოდა ეკლესიის ზარების წკარუნნი.

ხათუნას გულიც ზარასავით რეკდა, მაგრამ არა სიხარულით და არც სასიხარულოდ.

აღდგომამ და ახალკვირემ უსიხარულოდ გაიარა. ოჯახი ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგა. ხათუნა მუშაობაში ეძებდა სევდა-წალველის გადაყრას. შვილს მოუთმენლად ელოდა. ერთ საღამოს ყანიდან დამაშვრალი მოვიდა, ღამე მუცლის ტკივილით იტანჯა და მაისის ხალისიანი დღით ოჯახს ხალისიანი ბიჭუნა შესძინა.

ოჯახსა და ბავშვზე ზრუნვამ ხათუნა მთლიანად ჩანთქა. ზაქროზე ფიქრისთვის აღარ ეცალა. მოლოგინების შემდეგ ყანაში გავიდა. თავდავიწყებით მუშაობდა, მაგრამ გულის სიღრმეში ისევ აღდგომამდე ღარჩენილ კვირეებს ითვლიდა.

აღდგომაც მოვიდა და წავიდა.

მეორე აღდგომის კვირაში „ამირაკიდან“ ოთხი ჩიბუხიანი, „შლაპებსა“ და თეთრ საყელოიან სერთუკებში გამოწყობილი ვაჟი მოვიდა და ზაქროსგან გამოგზავნილი ფული და დაბარებული სიტყვა მოიტანა, რადგან, ისევე, როგორც ოთხმა და თითქმის მთელმა სოფელმა, მანაც წერაკითხვა არ იცოდა: გოგო, შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ ნამუსს შემინახამ! აქ ფულის მოგება არის, მოვითმინოთ ერთი სამი-ოთხი წელიწადიც და იმდენ რამეს მოგიტან, რომ ჩვენ შვილსა და შვილიშვილებსაც ეყოსო.

ამბავი ხათუნას ლახვარივით მოხვდა, მაგრამ გული გაიმაგრა.

გავიდა კიდევ წელიწადი, ორი, სამი. ოჯახმა ზაქროს მიერ გამოგზავნილი ფული მოინელა. ზაქროსგან კი ამბავი აღარ იყო. შილები აიძრიზნენ, მაგრამ მარინეს წარბში მოკრძალებით შესქეცროდნენ, სათქმელს გულშივე აბრუნებდნენ. მაშინ კი, როდესაც მარინე ლოგინად ჩაწვა, ეზიარა და ორიოდ დღის შემდეგ ზარით გაასვენეს, და მარინეს ადგილზე ოჯახში უფროსმა რძალმა, სალომემ დაიჭირა, უმცროსმა რძლებმა ხმა აიმაღლეს.

ერთ დღეს ოთხი ოჯახის ოციოდე ქალი საერთო ყანაში მკიდა. ჩამოცხა. ერთ-ერთმა შილმა „სრიელის“ ატანისას ნამგალი ააწკარუნა და ჩაუარაკათ — დავისვენოთო.

ხათუნამ შენიშნა, რომ შუადღის დასიცხებასა და დასვენებამდე კიდევ შევძლებთ „სრიელის“ ატანას და ყანასაც „წელში გავწყვეტოთ“ შილმა ტუჩები ააბზუა და ხათუნას გესლიანად უპასუხა:

— განა შენ გეუბნები! შენ წელში რო გაწყდე, ჩვემთან მაინც ვერ მოხვალ, — რაც იმას ნიშნავდა, რომ შენ შენი. შვილით ჩვენი და ჩვენო ქმრების კისერზე ზიხარო.

— მე დღე და ღამეს გავასწორებ, შენ და შენ ქმარს არაფერში ჩამოგრიებით, მარა შენ შენს ბილწ გულს სა წაუხვალ! — მიაგება ხათუნამ.

საღამოთი რომ სახლში დაბრუნდნენ, „გულამომჯდარმა“ რძალმა ქმარი საბძლის გვერდზე დაიმარტოვა, ერთხანს ეკურკუზა, ცრემლიც გადმოჰყარა, და სახლში მოქუფრულნი დაბრუნდნენ.

— რძალო, — მიმართა მაზღმა ხათუნას, როდესაც ჯალაბმა ვახშამი დუმილსა და რაღაც ცუდის მოლოდინში გაათავა და მორიგე სუფრის ალაგებას შეუდგა, — შენ რა გესაქმება ჩემ ქალთან? ვინ არი შენი გასაკილი, რა ხმის ამოსაღები გაქ?!

— რას ეჩრები ჩვენს საქმეში? ჩვენს საქმეს ძალუა სალომე გაახწორებს! — მიუგო ხათუნამ.

ეს იყო მის მიერ პირველი, ოჯახის გასაგონად ნათქვამი სიტყვა.

— შენ თითონ ეჩრები! შენ რო მეტიჩარა და აშარი არ იყო, შენი ქმარიც არ მიგატოვებდა! — წამოიძახა გაკაპასებულმა რძალმა.

— დედამთილის ნაცვალო, უფროსო რძალო სალომე და ოჯახის უფროსო მამამთილო, წილი მომეცით და გამიშვით... ვითომ პატარა ზურაბაობოლია, წილი ხო ეკუთვნის? — სიტყვა გადაწყვეტით ხათუნამ.

სცადეს მორიგება. ხათუნა თავისაზე იდგა.

ოჯახი გაცეხებული და შეცბუნებული დარჩა: ხათუნამ მამამთილს კაცები მიუგზავნა, მამასახლისსაც მიმართა, გაყოფა მტკიცედ მოითხოვა.

ოჯახი გაიყო. მოხუცი როსტომი უმცროსი შვილის, ზაქროს, შვილთან ანუ ხათუნასთან ერთად გავიდა. ამაოდ ემუდარებოდნენ მაზღები და საკუთარი ძმა ხათუნას: არა ჩემთან მოდი, არა ჩემთანო. იმასაც აგონებდნენ, „უპატრონო“ ქალი შერცხვები, სახელი წაგიხდება, დაგჯაბნიანო.

ხათუნამ ამ სიტყვებს ყური აავლო, შვილისა და მამამთილის ორი წილი გაიტანა და მაზღების, ძმებისა და უბნის დახმარებით ცალკე დასახლდა. ახალ სამოსახლოზე შრამელები, ეზო და კალო ხათუნამ თავის გეგმაზე მოაწყო. შუაცეცხლიანი დარბაზი სახლის მთავიერ ბუხრიანი ორთვალის ოდა ამართა. ეზოს მიკრული საბაღ-ბოსტნე დაიტოვა და ადრე გაზაფხულზე ნამყენი ხეხილი ჩაყარა.

როდესაც „მიწამ პირი ქნა“, ნიადაგი შეშრა, ხათუნამ სარტყელში ნაჯახი გაირჭო და მამამთილს მიმართა:

— მამამთილო, შენ ოღონდ ყანაში გამყე სოფლის დასანახად, სხვა ჰე ვიცოდე, ქმრისა და შვილის ოჯახს ხათუნა არ წააქცევს.

მამამთილი ყანაში გაჰყვა, სახენელი გამართა. ხათუნა შეენაცვლა, ჭაღამომდე ხნა და თოხნა. უჩვეულო მუშაობით მხარ-ბეჭი ჩამოაწყდა. შალე შეეზილა ხენასაც, თოხნასაც, ცულისა და ნაჯახის ხმარებასაც, ურმისა და მარზილის გამართვაც მოიმარჯვა. გათენებამდე ოჯახის შინაურ საქმეს აკეთებდა, გათენებულს ყანაში გადიოდა: ხნავდა, თოხნიდა, შკიდა, თიბავდა, აგროვებდა და ძირებად სდგამდა.

ორი წლის თავზე ყანა-ვენახის სამუშაოებში ბევრ ვაჟკაცს არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო ოჯახის შინა საქმეში ბევრზე წინ იდგა და „ალოსთავი“ სხვებზე წინ მიჰყავდა. მამამთილიც გარდაიცვალა. ხათუნამ ყველა წესი რიგზე აუგო. მარტოხელა ხათუნამ გარჯა გააორკეცა.

ხათუნა დაქალდა, დამსხვილებულ მხარ-ბეჭსა და თეძოზე მკვრივი ხორცი და ძარღვი შეისხა. ფეროვანი და ტანადი ხათუნა მუდამ საქმით დყო გართული და კაცი მის მოწმენდილ სახეზე სადარდელი ფიქრის ნისლსაც ვერ შენიშნავდა. ეს კია, რომ მუშაობაში გართულს თვალი გაუშ-

ტერდებოდა ზოლმე, მაგრამ თუ ვინმე შენიშნავდა, სახეზე ღიმილს გადაიკრავდა, საქმეს ხალისით დაუტრიალდებოდა.

ნახევრად ქვრივ ეშხიან ხათუნაზე ბევრს ეჭირა თვალი. თვალი კი ეჭირათ, მაგრამ თვალის გამართვასა და გალანჯლანდარავებას ეგრე რიგად ვერავინ უბედავდა. ყველაზე ჯიუტი მეზობელი დათო რეხვიაშვილი აღმოჩნდა. დათო მოშინაკაცდა, მამასახლისის თანაშემწედ აირჩიეს. ქალს რატომღაც არ ირთავდა. ხათუნამ ძველი ამბავი დაივიწყა, დათოს სხვა მეზობლის თანაბრად მეზობლობდა. დათომაც თითქო დაივიწყა დიდი ხნის წარსული, სამაგიეროდ, ხათუნას კარზე სიარულს მოუხშირა.

ერთ საღამოს, როდესაც ხათუნა ყანიდან დაბრუნდა, ივანშმა, პატარა ზურაბი დააწვინა და თითონაც გახდას აპირებდა, სახლის კარზე დათომ დაიძახა. დაძახება, კარის გაღება და საკარცხულში ჩაჯდომა ერთი იყო. დათომ ჩიბუხი გააწყო, მუსაიფი, შორიდან დაიწყო. ხათუნამ ცეცხლს შეუკეთა, გვერდით მატყლიანი კალათა მოიდგა, ჭილობზე მოირთხა, რთავდა და ყურს უგდებდა. ხანდახან შეესიტყვებოდა. დათომ საუბარს მოახვევინა, ხმა აუკანკალდა, საუბარი გაწყვიტა.

— დათო, თავი გაანებე ბეჩავ ქალს, თორემ, თავი ნუ მომიკვდება, სირცხვილს გაჭმევს! — შეაწყვეტინა სიტყვა ხათუნამ, ძაფი თითისტარზე დაახვია და გვერდზე გადასდო. დათო ხმის ამოუღებლივ წამოდგა და გარეთ გავიდა. ხათუნამ კარი გადარაზა, ცეცხლი შეახვია და ლოგინში ჩაწვა.

თვალი დახუჭა, მაგრამ თვალს ძილი არ ეკარებოდა. ჩაკეტილი სიცოცხლე აბობოქრდა. ცეცხლი ედებოდა, ბალიშს მკლავებში სრესდა, ჭმუჭნიდა. ველარ აიტანა: საბანს ხელი გადაჰკრა, პერანგის ამარა წამოვარდა და ეზოში შეშლილივით გავარდა. მოწმენდილ ცას ეზოში ნამი დაედო. გრილი სიო ჰქროდა. ხათუნა შუა ეზოში კარგა ხანს იდგა... მერე უცბად შეირხა, ჩქარი ნაბიჯით ნალიისკენ გასწია, ტარო გიდელში ჩაჰყარა. სახლში შეიტანა, ხვირში ჩაჰყარა, ცეცხლი დაანთო და გათენებამდე ნახევარფუთიან საცეხველს სცემდა...

მეორე საღამოს დათო კვლავ მიადგა, ფალანგასთან ფეხი დაასვა.

— კარგი, ბოსელში შედი, ბაღს დავაძინებ, ჩამოვალ და მოვილაპარაკოთ, — მოუჭრა ხათუნამ და სახლისკენ გაეშურა.

გულაძგერებულმა დათომ გახურებული თავი და აშლილი ფიქრები ბოსლის სიბნელეს მიანდო. ცდილობდა ხათუნას მოახლოებული ფეხის ხმა დაეჭირა, მაგრამ ყურს საკუთარი გულისცემის მეტი არაფერი ესმოდა.

— ბაღი ჭირვეულობს, უჩემოდ არ იძინებს, დავაძინებ და ჩამოვალ, — კვლავ მოესმა ხათუნას ხმა და გადარაზული კარის ხმაური.

დათოს გული ელეოდა. ხათუნა კი სოფლის გზას გაუდგა. სოფლის საზოგადოების კანცელარიის კარი შეაღო და მამასახლისის დაურიდებლად შიშართა:

— მამასახლისო, ნეფის კაცი ხარ, მარა სიმაართლეს მაინც გეტყვი. სოფელს შენი რჩენაც უჭირს, შენ კიდევ ცხენიც უპატრონოთ ვაგიშვია.



მასაც აუღერია თავი, მაინცა და მაინც ბეჩავ ქალს მისდგომია კარზე, ყანაში გადამხტარა. წამობრძანდით, ცხენს კი არ გოჭერ, არც რამეს გადაგახდევით, მარა ი თქვენი ცხენი თქვენი პატიოსანი თავრობის თვალით ნახეთ. ვახშამი და პატივისცემა ჩემი იყოს.

მწერალ-მამასახლისს ხათუნას თავაზიანობა გაუკვირდათ. მაგრამ იმ დღეს საკბილოს ვერაფერს გადაყროდნენ. მწერალმა მამასახლისს თვალი ჩაუკრა, ათქვირებულ ქვრივზე რალაც ანიშნა, და ხათუნას უკან გაჰყვნენ.

მწერალ-მამასახლისის ორაზროვან სიტყვებს ხათუნა განზე ისროდა და წინ აჩქარებული ნაბიჯით მიუძღოდა.

— სარდიონა, სპირდონა, დიანოზ, წამოდით თქვენ მზეს, მოწმეთ დამესწართ, პატივისცემა ჩემი იყოს! — ეძახდა ხათუნა გზა და გზა მეზობლებს.

მეზობლები მხრებს იჩეჩავდნენ: თუმცა ხათუნა გაბედული ქალია, მაგრამ მამასახლისის ცხენის დაჭერა მაინც როგორ გაბედაო.

ხათუნამ სახლიდან ჭრაქი ჩამოარბენინა, ბოსლის კარი გააღო და შეინათა. მამასახლისმა, მწერალმა და მეზობლებმა თავი შეჰყვეს. ჭრაქის სინათლეს ცარიელ ბოსელში ლაპლაპი გაჰქონდა. მწერალ-მამასახლისმა ერთმანეთს გადაჰხედეს. ხათუნამ ბაგისკენ გასწია, ჩალაბულაში ხელი ჩაჰყო და ჩოხის კალთით ჩალა-ბზით გაბუწული კაცი, მამასახლისის თანაშემწე ამოათრია. დათო თავდახრილი იდგა, მწერალ-მამასახლისი სიცილით კედლებს ეხეთქებოდნენ, მეზობლები კარებში ხარხარებდნენ.

საქმეს მსვლელობა არ მისცემია; მაგრამ ამბავმა სოფელი შემოიბინა.

## VI

ხათუნა ოჯახის საქმეს განაგრძობდა. პატარა ზურაბა სოფლის სკოლაში მისცა: ეს მაინც არ დარჩეს თვალხილული ბრმაო, — იტყოდა ხოლმე ხათუნა.

როდესაც ზურაბამ სკოლის ოთხი განყოფილება დაამთავრა, ხათუნამ ასე მიმართა: სიკვდილის მეტი ყველაფერი ნადრევი სჯობიაო, და ჯერ კიდევ ბავშვს თვრამეტი წლის ჯანიანი ქალი შერთო. ცოლი შერთო, ესე იგი დანიშნა და ჯვარდაუწერლად სახლში მიიყვანა, ოჯახს მუშახელი მიუმატა. ზურაბს სცხვენოდა, თანაც უხაროდა.

გავიდა დრო.

ომს ახალთაობა და მენშევიკების მთავრობა მოჰყვა.

ხათუნა ოჯახური საქმისაგან წელში არ გამართულა, შვილისა და რძლის გვერდში ამოდგომით თავისთვის შელავათი არ მიუცია.

დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ხათუნა ყურს უგდებდა უცნაურს, მაგრამ საგულისხმო ამბებს.

ერთ დღეს ხათუნას ორთავ გვერდზე შტემპელებით აჭრელებული და ხაჭაპურივით ოთხკუთხიანი პაკეტი გადასცეს. ხათუნას მუხლები

აუკანკალდა, მაგრამ თავი შეიკავა და ვითომ 'გულგრილობით' გადაატრიალ-გადმოატრიალა, მისული ხალხი შეიპატიჟა. პაკეტი გასასხნელად და წასაკითხად „რუსულის მცოდნეს“ გადასცა. „რუსულის მცოდნე“ კაცმა პაკეტი გახსნა, ჩაუკვირდა და ხათუნას ქმრის ამბავი მიულოცა.

— ჯერ ჩაიკითხე! — მიმართა მკაცრად ხათუნამ და ყური მიუგდო:

„ოცი წლის უნახავო დედა და მამა, ძმებო და რძლებო, ძმისწულებო, მარად მოსაგონარო ხათუნა და მთელი ჯალაბო! ბევრი, ალბათ, ცოცხალიც აღარ არის, ბევრი ჩემთვის უცნობი და უნახავი გაჩნდა და ოჯახში მოვიდა.

ხათუნა, გული მეუბნება, რომ შენ ცოცხალი ხარ, ხშირად ვხედავ სიზმარში, ჩვენი სახლის გვერდით, ახალ სამოსახლოზედ, მაგრამ ყოველთვის ცერამართული ხიმია ჩვენ შორის, შენ იქით მხარეს ხარ, მე აქეთა მხარეს. ვიცი, რომ იქითა ხარ და სახეს ვერა ვხედავ...

როგორც იქნა, ამ უცხო ქვეყანაში მაიდან გადმოხვეწილი ქართველი კაცი ვნახე. წერა-კითხვა შემასწავლა. წერილს ჩემი ხელით ვწერ და მინდა ჩემი გულის ნადები ჩემ ოჯახს მივაწვდინო, თულა ცოცხალია ვინმე ან თულა ვინმე მომისმენს...

ხათუნა, როცა ჩემი ამხანაგები აქედან წამოვიდნენ, არც მე და არც ვინმე მათგანმა წერილი არ ვიცოდით, სიტყვით კი დავაბარე, მაგრამ აბა რას დააბარებ გულგატეხილი კაცი ან როგორ მივა სიტყვა ამ მანძილზე...

მე ვერ წამოვეყე, რადგან ფულის შოვნება იყო, მე კი მაინც და მაინც ბევრი არაფერი მეშოვნა. ვთქვი, რაკი ამსიშორეს გადმოვიკარგე, ბარემაც დავიცდი და იმდენს ვიშოვი, რომ წამოსასვლელათ ღირდეს-თქვა. მაშინ შეერთებული შტატების მისისიპის სათავეებში ვმუშაობდით. ბიჭები რომ წამოვიდნენ, მე კანადაში 'გავწიე' (ასეთი ქვეყანაც არის ამერიკაში). იქ ბევრი ტყეებია, ბევრი სარეწაოები. ძველ ადგილზე ორი წლის განმავლობაში, გარდა ორიოდ სიტყვისა, მე აქაური ენისა არაფერი მისწავლია. მივედი ჩვენებური ნაბდით, ცულით და ხერხით ახალ პატრონთან. მუშებმა და პატრონმაც ბევრი იცინეს ჩემ მორთულობასა, იარაღსა და ლაპარაკზე. დავიწყე ხის ჭრა ჩვენებურად. ისინი ხერხით იოლად ჭრიან, მაგრამ მე ღონეს დავაწევი, ჩვენებურად გავუკარ და ბევრს გავასწარი კიდევ. პატრონმა (თვით ინჟინერია) ყურადღება მომაქცია, უფროს მუშად დამნიშნა, აქაურ ენასა და წერა-კითხვას შემაჩვია. ორი წლის შემდეგ ამხანაგად ამიყვანა, თვითონ სხვაგან წავიდა და სარეწაო მე ჩამაბარა. ოთხ წელიწადში მოსატრეული ტყე მოვჭერი, ვიანგარიშეთ და საქმე დავხურეთ. ფული ბევრი მხვდა, მაგრამ ეშმაკმა დამძლია: მოდი ერთ საქმეს ჩემ ბედზე ვცდი-თქვა.

ტყის ნაკვეთი ვიყიდე, სახერხი ქარხანა მოვაწყე, ელექტრონის სადგური ავაშენე და საქმეს შევუდექი. სამ წელიწადში საქმე ჩინებულად მოეწყო. გული დაბრუნებას მითხრობდა, მაგრამ აწყობილი საქმის ხელიდან გაშვება მიძინებდებოდა და თავს ვატყუებდი: ჯერ მაინც ომია,

მორჩება, მეც საქმეს გავყიდი და სახლში წავალ მეთქი. ომი გაგრძელდა, მანდ არეულობა მოყვა. ჯერ საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფაზე ლაპარაკობდნენ, შერე გაბოლშევიკებაზე. ბოლშევიკებზე კი იმდენ რამეს ამბობდნენ, რომ შემეშინდა ამდენი ქონების მანდ მოტანა.

ქონება ბევრი შევიძინე, მაგრამ გული აღარ დადგა. მადაური ლორი, ცხელი ჭადი და ხრიკით ღვინო მომენატრა. მოვაწყე ფერმა მადაურად: ერთი დარბაზი სახლი დავდგი შუაცეცხლით, შრამლები ავაშენე, ეზორი და დავიცი ჩვენებურათ მოვაწყე. კარზე ყანაში სიმინდი და ლობიო დავეთესე, ვენახი გავაშენე. ძროხებს ვაწველინებდი, ყველს ჩვენებურად ვიყვანდი, ღორებს და ფრინველს ვასუქებდი, დამარილებულ ფელიკებს გამოსაყვანათ შუაცეცხლზე ვკიდებდი, ყურძენს ხაპში ვწურავდი, ჭურბში ვინახავდი, მეზობელ ფერმერებს ჭურის თავზე ღვინოს ხრიკით ვეპატიებოდი, ზედ ჭადსა და ცხელ ღორს ვაყოლებდი...

მაგრამ მალე მივხვდი, რომ თავს ვატყუებდი: გულს მარტო ეს კი არ უნდოდა, ის სხვა რამეს მოითხოვდა — მადაურ ჩხეკებს, ცას და ღრუბელს. შენი გარუჯული სახე მომენატრა, ხათუნა. ისე მომენატრა, რომ ნატვრა სევდად მექცა. ჩემმა ქონებამ ჩემ თვალში ფასი და ღირებულება დაჰკარგა. გული აღარ მიდგება. მთელ ჩემ ქონებას მივცემ იმაში, რომ შენთან ერთად ჩვენი ეზოს ხიმებზე ვიყო მიმდგარი, მინდორში მიმავალი საქონელი დამანახა, ჩვენებური წყევლა-კრულვა და მუსაიფი გამაგონა.

გწერთ ახლა წერილს და პასუხს მოუთმენლად ველოდები... ცოდვა გატეხილი სჯობიან: ცოცხალი კაცი ცოდვილიანია და მეც ვერ ავცდი. ამერიკაში ქალი და ქალ-ვაჟი მყავს... თუ მაპატიებ და იზამ ქალობას — შენ იცი, ყველაფერს, ქალსა და შვილებს, მივატოვეფ, იმდენ ქონებასაც მოვიტან, რო ჩვენსა და ჩვენს შვილი-შვილებს ეყოს. სოფელსაც გზას გაუყვან, სკოლას და საავადმყოფოს აუშენებ, ხე-ტყის სახერხ ქარხნასაც გაუყვან, თუ არ მაპატიებ და საქმე ისეა, რომ აღარა ეშველება რა, ნება მაინც მომეცი, რომ მოვიდე, ერთი მაინც გადავავლო თვალი მადაურობას. იმდენ რამეს დაგბტოვებ, რომ სამუდამოთ გეყოს...

ველი პასუხს. გწერს მისტერ გობი (იოლობისთვის გვარი შევამოკლე): თქვენი კეთილის მსურველი ზაქარია გობეჯიშვილი. 1925 წელი, აპრილის 1-ლი.“

წერილის კითხვა დასრულდა. მკითხველმა და მსმენელებმა ხათუნას შეხედეს. ხათუნამ ცრემლი თავსაფრის ყურით მოიწმინდა. სველ თვალებში ცეცხლი აუთამაშდა. იქ მდგომ ხალხს სიხარულად ენიშნა. მიულოცეს. წერილმა სოფელი ჩამოიარა. კითხულობდნენ, ხათუნას ულოცავდნენ. გზის, სკოლა-სავადმყოფოს და სახერხი ქარხნის აგებაზე მსჯელობდნენ. ხათუნა მეზობლებს უმასპინძლდებოდა, შვილსა და რძლის სიხარულს მხარს უჭერდა.

კვირის თავზე, როდესაც ოჯახმა ივაშმა და ბავშვები დააქანეს ხათუნამ გამზადებული ქალაღი და საწერ-კალამი ზურაბს ხელში მის-

ცა, ახლად ნაყიდი შუშის ლამაზა მაგიდაზე დადგა და შვილს საპასუხო წერილის დაწერა ანიშნა.

„...თუ ჩვენ ამბავს იკითხამ, — უკარნახებდა ხათუნა, — ჩვენ, მადლობა ღმერთს, ვცხოვრობთ, გლეხ-კაცის პირობაზე სამდურავი არა გვეთქმის რა. მამა და დედა დიდი ხანია გადიცვალნენ. სხვა უბედურება სიკვდილით არა გვწვევია. უბანსა და სოფელშიაც ძველები თავისი დღით გადაქუხდნენ, ახლები წამოიჩიტნენ, დაიზარდნენ და გაიყვენ. დიდი ოჯახები დარბაზი სახლებითა და შუაცეცხლები აღარავისა აქ. ჩვენი ოჯახიც დიდი ხანია გაიყო, მის საძირკველზე დღეს მთელი უბანია.

ხათუნამ ოჯახი არ წააქცია, სირცხვილ-ნამუსი შეინახა. მოხუცი მამამთილითა და ხუთი წლის ბალებით ცალკე გავიდა. ამ ბალებს ახლა ცოლი ჰყავს და ორი ბალები. ზურაბი წერილს თავისი ხელითა სწერს, — ჯეელია, მარა სოფელ-ქვეყანაში კაცათ ითვლება, სოფლის საქმეები იკითხება.

რაც შეგვეძლო ვიღონეთ — პალატიანი ოდა გვიდგას, თელის ფიჭვის შრამელები გვაქ, ნამყენი ვაზის ქცევა ვენახი ზე კარზე გვაკრავს. ორი უღელი ხარი გვყავს, ერთი ცხენი, ოთხი მეწველი ძროხა. წლის სარჩოზე არ დავრბივართ, არც ღვინოზე ვწუხდებით, ფულის მოხერხებაც გვაქ და მტერ-მოყვარეს საკადრისათ უხვდებით...“

— ეგრე, ეგრე, დედიჯან, რამდენ რამეს დავახვედრებთ! კიდევ ბევრი მივწეროთ! — შესძახა გახარებულმა ზურაბამ.

— შენ ის დასწერე, რასაც გეუბნები! — მოუჭრა ხათუნამ და კარნახი განაგრძო:

„...ქონება ქონებად უნდა იყოს და ადამიანობა ადამიანობად... რაც შეეხება შენს აქ მოსვლას, აი რას გითვლის ხათუნა: ოცი წელიწადი უჩვენოთ გიცხოვრია, ახლაც ისე გაცხოვროს, რავეც შენს გულს გაეხარებოდეს... მე კი არც შენი ქონება მინდა, არც შენი ნახვა...“

ზურაბს კალამი ხელიდან გაუვარდა. ცოლ-ქმარმა ხათუნას ისე შეუხედა, როგორც მოულოდნელ სასიკვდილო განაჩენს ხვდებიან.

მიღებული გარდაწყვეტილება კი ხათუნას თვლებში სიპი ყინულოვით იდგა.

## ეპილოგის მაგიერ.

შემდეგ რალა მოხდა? — იკითხავს ცნობისმოყვარე მკითხველი. არ ვაამართლა ხათუნამ ძველი ანდაზა: ორმოცი წლის კაცი რომ ფანდურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო. ხათუნამ წერა-კითხვა შეისწავლა და ახლა კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმის სტახანოველია. საქმის კარგად დაყენებისთვის იგი დაჯილდოვებულია მაღლიერი ხელისუფლებისა და კოლმეურნეობისაგან.

ზურაბი რამდენიმე წელიწადი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეობს ამერიკელის დაუხმარებლად მან სოფლისა და კოლმეურნეობის საკუთა-

ჩი სახსრებით შარაგზაც გაიყვანა, საშუალო სკოლისათვის ქვის შენი-  
ზაც ააგო. ასეთივე შენობაში აფთიაქ-საავადმყოფო მოაწყო. კოლმეურ-  
ნობას სახერხი ქარხანა და ელსადგური ააშენებინა. მხნე მუშაკი უფრო  
შეტის იმედსაც იძლევა.

მისტერ გობი? კვლავ ამერიკაშია, მხოლოდ არ ვიცი, იმ მდიდრების  
ჩიციხეშია, რომლებიც გაკოტრებას დღე-დღეზე ელიან, თუ უკვე გაკო-  
ტრდა და დამბლა-დაცემული თავისი ფერმის ეზოში ზის და იგონე-  
ზათუნასადმი მიცემულ ფიცსა და პირველ ნახვაზე მიძღვნილ შაირს:

„გოგუნეკავ შეთვალაო,  
ცოლად გამომყე თანაო,  
თუ უარს მეტყევი, ის მიჯობს  
გულზე დამსვა დანაო...“

# ქდასიკუნი მამაკვილობა

ტარას შვჩკინა

## შეჩვი

მუხნარიდან მოქრის ქარი,  
დანავარდობს, ველზე ბრუნავს,  
გზისპირად რომ ვერხვი არის,  
შემოჰკრავს და ორად ღუნავს.  
მწვანობს ვერხვი ფოთლებ-ფართო,  
ტანი უგავს ნატყორცნ ისარს.  
გარშემო კი — ველი მარტო,  
ფერი დაჰკრავს ლურჯი ზღვისა.  
ჩალანდარი ხეს ჩაუვლის,  
თავს დახრის და გული წყდება.  
მოდის მწყემსი სალამურით  
და ყორღანზე ჩამოჯდება,  
ვერხვს გახედავს, მწყემსი დარდობს:  
არაფერი მოსჩანს ირგვლივ,  
ობოლივით მარტოდ-მარტო  
უცხოეთში კვდება იგი.

უცხოეთში გასახმობად  
ვინ გაზარდა ასე კობტა,  
შომისმინეთ, გოგონებო,  
ეს ამბავი როგორ მოხდა.

ერთი გოგო მხიარული  
გაზაკს ტრფობას უცხადებდა.  
ქალს წამწარდა სიყვარული  
გაჰქრა ვაჟი უცაბედად.  
რომ ცოდნოდა დატოვებდა —  
ჩაიკლავდა გულში ვნებას,  
რომ ცოდნოდა გაქრებოდა —  
არ მისცემდა წასვლის ნებას.  
რომ ცოდნოდა, არ ივლიდა.

ასე გვიან მყუდრო ჭასთან.  
დილამდე არ მოიცილიდა  
ტირიფებში ტკბილად მასთან.  
რომ ცოდნოდა...  
მაგრამ არა,  
დარდი მოდის სწორედ მაშინ  
თუ გავიგეთ ადრინად  
რა მოგველის მომავალში,  
ნუ მკითხაობთ! გული თავად  
მონახავს და შეგაყვარებს...  
მერე გახმეს და ბედშავად  
მიაბარონ ბნელ სამარეს...  
შავი თვალი, შავი წარბი  
განა მუდამ გაძლებს ასე!  
გოგონებო, მალე გარბის  
თქვენი კარგი სილამაზე.  
თვალებს დარდი ატიალებს,  
ეპარება ჭკნობა სახეს.  
იხალისეთ, იტრფიალეთ,  
როგორც გული გიკარნახებს.

შუალამე გადავიდა,  
ასკილაზე ბუღბული ყეფს,  
მიდის ველზე კახაკი და  
ერთ სიმღერას წამოიწყებს.  
და იმღერებს ვიდრე ქალი  
არ გადმოდგა თავის ეზოს,  
ვაჟი კითხავს ეშხით მთვრალი:  
„მშობლებმა თუ გაგლახესო“.  
როცა ხვეენას მორჩებიან,  
მოუსმენენ ბუღბულს სტვენას,  
მხიარულად შორდებიან  
და მიდიან შინისკენა.  
ვინ რა იცის, ეს ამბავი,  
თავს არავის მოგაბეზრებს:  
„გოგო, წუხელ სად იყავი?  
რაგ ინდოდა, რა საქმეზე?“  
ნეტარებდა ასე ჩუმად,  
მხოლოდ გული მაინც ძრწოდა.  
გრძნობდა ხიფათს, მაგრამ გულმა  
ლაპარაკი არ იცოდა.  
არ იცოდა, ჭირი ნახა...

როგორც მტრედი, ცალი მტრედი,  
სულ ღუღუნებს ქალი ახლა...  
ალარ უსმენს მისი ბედი.

ყველაფერი გათავდება,  
ასკილაზე სდუმს ბუღბუღი.  
არ ლიღინებს შავთვალემა  
ტირიფებში შებუღრული.  
უმისობა აჭკნობს ლამაზს,  
ქვეყანაზე ობლად რჩება,  
უსაყვარლოდ, დედაც, მამაც  
უცხო ხალხად ეჩვენება.  
უსაყვარლოდ — მზე ანათებს,  
იცინისო მტერი თითქოს.  
ბნელ სამარეს მოგანატრებს,  
გული მაინც ძგერს და ითხოვს...

გადის წელი, კიდევ გადის  
და კაზაკი ალარ ჩნდება.  
ჭკნება ქალი, როგორც ვარდი,  
ალარც დედა ეკითხება:  
„რატომ ჭკნები ჩემო ქალო?“  
ღამიხედეთ ამ მუხანათს,  
იგი ჩუმად მაჭანკალობს  
ვიღაც მდიდარ ბებრუნანას.  
„წადი, შვილო“, ეტყვის ნელა,  
„გახოვების მიდის წლები,  
მდიდარია, მარტოხელა,  
ხანუმივით ეყოლები“.  
„ხანუმობა არ მიტაცებს,  
იქ არ წავალ თავის დღეში.  
საქორწინო პირსახოცით  
ჩამსვენეთ სამარეში.  
შავი მღვდლები იმღერებენ  
მაყრები კი მიტირებენ.  
იმისთანა ქმარის ყოლას  
სამარეში მიჯობს წოლა“.  
არ ათხოვა დედამ ყური,  
აკეთებდა როგორც სურდა,  
შავთვალემა უბედური  
ჭკნებოდა და მხოლოდ სდუმდა.  
ესტუმრება ღამით მკითხავს,



ბედილბალი არჩევინოს.  
„ქვეყანაზე ნუთუ დიდხანს  
ასე ობლად დავრჩებიო!  
ჩემო ბები, ნუ აყოვნებ  
ჩემო ოქრო, ჩემო ნანა,  
სულ სიმართლე გამაგონე,  
სად წავიდა რა ქვეყანას!  
ცოცხალია, არის კარგად!  
უყვარვარ თუ დამივიწყა?  
მითხარი, სად გადიკარგა?  
შემოვიარ ზღვას და მიწას.  
ჩემო ბები, ჩემო კვნესავ,  
გამახარე წუთისოდღად.  
განუზრახავს დედაჩემსა  
ბებრუხანას მიმცეს ცოლად.  
ვის უნახავს სიყვარული  
გულში ძალად შემოსული.  
თავს დავიხრჩობ, რომ ვიცოდე  
არ წაწყდება ჩემი სული.  
თუ მომიკლეს სადმე ომში,  
ან თუ იმას არ უნდებვარ, —  
მომიხერხე ისე, რომ შინ  
არ მეღირსოს დაბრუნება.  
მიგზავნიან შუამავლებს,  
მითხარ, მხსნელად მომეველინე“.  
„კარგი, რასაც დაგავალებ,  
აღასრულე ყოველივე.  
მეც მინახავს პატარძლობა  
მაგნაირი მწუხარებით.  
ვიცი რჩევა და წამლობა,  
შენისთანებს ვეხმარები,  
ჩემო შვილო, გულთმისანმა  
შენი ბედი აღრე ვნახე.  
ადრიანად ეგ სამსალა  
ჰოვხარშე და შეგინახე!“

გაცუნცულდა გულთმისანი,  
ჯადო-წამალს ხელში აჩრის.  
„გამომართვი, მომისმინე,  
ამ სალამოს ჰასთან გაჩნდი,  
და სანამდე სდუმს მამალი,  
დაიბანე შვილო პირი,  
მერე მოსვი ეგ წამალი,

ძოვშორდება ყველა ჴირი,  
და მოკურცხლე, ჩემო მტრედო,  
რაც არ უნდა მოგაძახონ,  
უკან აღარ მოიხედო...  
ის ადგილი როცა ნახო,  
სადაც იმან მიგატოვა,  
კვლავ დალიე მისი მოსელის,  
თუ მაშინაც აღარ მოვა,  
მესამეჯერ კიდევ მოსვი.  
პირველად რომ დალევ, მაშინ  
მოგეცემა ძველი ეშნი.  
მეორედ კი ერთი რაში,  
ტორებს დაჰკრავს ტრამალებში.  
თუ კახაკი არ მომკვდარა,  
მყისვე რაშით გამოხტება.  
მესამედ კი, ეხ პატარავ,  
ნულარ მკითხავ რა მოხდება,  
ერთი კიდევ: რაგინდ ბევრი  
საოცრება არა ნახო,  
არ დალუპო ყველაფერი,  
პირჯვარი არ გადისახო“.

გულჯიბეში წამალს იღებს,  
გამოვიდა. შედგა კართან,  
„წავიდეს თუ არ წავიდეს“,  
და წავიდა ჴისკენ მარდად.  
პირს დაიბანს, სვამს სამსალას,  
გაუცინებს გულში მხედარს.  
სამჯერ მოსვა, გამოსცალა  
და უკან არ მოიხედა.  
ფრთებშესხმული გაფრინდება,  
ველს ემხოზა და ცახცახებს  
წამოდგება, ატირდება  
და სიმღერას გადასძახებს:

„ჩემო გულო, ასე ლაღად,  
გადაცურე ლურჯი წყალი,  
შენც ავარდი, ვერხვო, მაღლა  
ყველა ღრუბლებს გაუსწარი.  
როცა ტანში გაივსები,  
აშოლტილი ცაში ახვალ —  
კითხე უფალს, ველირსები  
საყვარელი ტოლის ნახვას?“

გაიზარდე კიდევ მეტი,  
გადახედე ზღვების კიდეს.  
გალმა არის ჩემი ბედი  
და გამოღმა დარდი მიღევს.  
იქ შავტუხა ერთი ვაჟი  
დადის ლალი სიმღერებით.  
ცრემლი გაშრა ამდენ ცდაში  
დღელამ გარეთ ვიხედები.  
გადაეცი, ჩემო კარგო,  
რომ დამცინის ხალხი მუდამ,  
სადმე უნდა დავიკარგო,  
თუ ახლავე არ დაბრუნდა.  
განიზრახა დედაჩემმა  
მიმაბაროს მიწას წყეულს.  
მარტოდ-მარტო რომ დარჩება,  
ვინ მიხედავს მოხუცებულს!  
ყურადღებით ვინ მიხედავს  
მძიმე წლებმა რომ მოხაროს,  
ჩემო ბედო, ჩემო დედა,  
დამისხენი მაცხოვარო!  
გადახედე, მოსჩანს სადმე?  
თუ ველარსად მოჰკრა თვალი,  
იტირე მზის ამოსვლამდე  
სხვამ არ გნახოს მომტირალი.  
მაშ აგარდი, ვერხვო, მაღლა  
ყველა ღრუბელს გაუსწარი,  
ჩემო გედო, ასე ლალად  
შენც გასტურე ზღვების წყალი“.

ასე მღერის. არ ყავს სწორი,  
ქვითინებს და შავბედს კიცხავს,  
და უეცრად ველთა შორის  
ქალი ვერხვად გადაიქცა.

მუხნარიდან მოქრის ქარი,  
დანავარდობს, ველზე ბრუნავს,  
გზისპირად რომ ვერხვი არის,  
შემოჰკრავს და ორად ღუნავს.

თარგმნილი უკრაინულიდან  
კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ

## სალხინაბელი

ჟება მეთერთმეტე

- „მამაო ჩვენო, ცათა შინა დამკვიდრებულო,  
„არამც თუ ძალით, სიყვარულის მეოხებითა,  
„რომელსაც შენ გრძნობ პირველ შექმნილ არსებითადმი,
- 4 „იდიდოს მარად და ყოველგან სახელი შენი  
„და ძალი შენი ყოველივე არსმა მიუზღოს  
„შენს მაღალ სულსა მართებული მადლი საძღვენი.
- 7 „მშვიდობა შენი სუფევისა გვეახლოს ჩვენა,  
„რადგან არ ძალგვიძს ჩვენ ვეახლოთ მას ჩვენის ნებით,  
„თუ იგი თავათ არ მოვიდა, არ მოგვევლინა.
- 10 „ვით ანგელოსნი, როს ოსანას შენ გიგალობენ,  
„მსხვერპლად გწირავენ ნებისყოფას თვისას უფალო,  
„ასევე კაცთაც ხამს შეგწირონ ნებაჲ თვისი.
- 13 „ყოველდღიური მოგვანიჭე არსების მანნა,  
„ურომლისოდაც ამ საშინელ, ბნელ უღაბნოში  
„უკუიქცევა ვინაც წინსვლას ეძალებოდა.
- 16 „როგორც ჩვენ სხვათა მივუტევეთ შეცოდებანი,  
„ასევე ჩვენაც მიგვიტევე, რაც ჩვენ შევცოდეთ,  
„ნუ გავგიკითხავ, როგორც ვიყვეთ განკითხვის ღირსნი.
- 19 „სიქველე ჩვენი არა მყარი და არა მტკიცე,  
„ძველთა მტერთ მიმართ განავრცელე და განამკვიდრე,  
„ჩვენაც დაგვიცავ მისგან მოგვრილ მძიმე პატიჲთ.
- 22 „ამ უკანასკნელ სათხოვარსა აღვივლენთ ღმერთო,  
„არა თუ ჩვენთვის არ გვჭირია უკვე ჩვენ ესე,  
„არამედ მათთვის ვინც ჩვენს უკან არს მომავალი“.

- 25 კეთილ მგზავრობას როგორც ჩვენთვის ისე თავისთვის,  
გამოითხოვდნენ ეს აჩრდილნი, ვიდოდნენ ტვირთს ქვეშ,  
როგორიც ხშირად დაგვაწვება ხოლმე ჩვენ ძილში,
- 28 როცა სიზმარში სულს შეხუთავს მძიმე კირთება  
არა თანაბრად მოქანცულნი, ღონე მიხდილნი  
პირველ საფეხურს მისეოდნენ და ფუსფუსებდნენ,
- 31 თანაც იწმენდნენ ეგ სულები მიწიერ ლაქას.  
თუ ჩვენს მაგივრად აღავლენენ იქ სულნი ლოცვას,  
რა შეუძლია სააქაოს სამაგიერო,
- 34 მათ ვის სურვილებს სიქველისა ფესვები მოსდგამს?  
სამს მივეშველოთ და ლაქები მოვარეცხინოთ  
თან გაყოლილი ამ ქვეყნიდან რათა განწმენდილოთ,
- 37 გზები გაეხსნათ ვარსკვლავეთის მაღალ სფეროში.  
„მართლმსაჯულებამ, სათნოებამ შეგიმსუბუქოთ  
„ეს მძიმე ტვირთი, რათა შესძლოთ გაშალოთ ფრთენი,
- 40 „და გაწმენდილნი ზეამაღლდეთ სურვილისამებრ.  
ახლა გვიჩვენეთ, რომელ მხრიდან ჩვენ უსწრაფესად  
„დაღვიძს უმოკლეს გზას დავადგეთ ან გზა რამდენი
- 43 „ან რომელია გზათა შორის ყველაზე მარჯვე?  
„რადგან ამძიმებს ამ ჩემს მხლებელს ადამის ხორცი,  
„რომლითაც ჯერაც მოსილია იგი ამჟამად
- 46 „და უნებლიედ უმძიმს მიტომც ახლა ზეასვლა“.  
არ სჩანდა თუ ვის პირისაგან გამოდიოდა.  
სიტყვები იგი, რაც გვესმოდა იმის პასუხად;
- 49 რაც სიტყვა იმ სულმა ვისაც უკან მე მივეყვებოდი,  
მაგრამ ეს ითქვა: „ამ კიდეზე იარეთ მარჯვნივ,  
„ჩვენ გამოგვყევით და გასასვლელს მუნ წააწყდებით,
- 52 „სად ხორციელსაც შეეძლება ასვლა აღმართში.  
„მე რომ არ მაწვეს თავზე ლოდი მძიმეზე მძიმე,  
„რაც თავდაბლობას მაჩვეს ეგზომ თავაწყვეტილსა

<sup>36</sup>. ვარსკვლავების სფეროს გადაღმა მდებარეობენ სამოთხის საუფლონი (დანტეს კოსმოგონიით).

- 55 „და ამიტომაც იძულებით დავცქერი მიწას,  
„დაგინახავდი იმ ხორციელს ვინც აქ არ ამხელს  
„თვის ვინაობას, ეგებ იგი მიცნობდა მეცა,
- 58 „ვინძლო აღმეძრა მე ტვირთმძიმეს მით სიბრაღული,  
„ვარ ლათინელი, სახელგანთქმულ ტოსკანელის ძე,  
„აღდობრანდესკი გუფომო მყავდა მშობელი.
- 61 „არ ვიცი ვინმეს თუ გცნობიათ მისი სახელი?  
„ამ ძველმა გვარმა, წინაპართა ჩემთა დიდებამ  
„ისე ამაყი გულზვიადი გამხადეს მეცა,
- 64 „და დავიწყებას მივეც ჩვენი საერთო დედა,  
„ადამის ტომსა შევსცქეროდი ისეთის ზიზლით,  
„რამაც მე მომკლა, რაც სიენელთ ახლაც კი ახსოვს,
- 67 „კამპანატიკოს ყოველ მცხოვრებს ემახსოვრება,  
„მე ომბერტო ვარ და მარტოკა არ ვიტანჯები,  
„ამ სენისაგან სნეულია მთელი ოჯახი
- 70 „და სიამაყემ სატანჯველი მოგვაგო ყველას,  
„მეც ამის გამო უნდა ვზიდო ეს მძიმე ტვირთი,  
„ვიდრე უფალთან თავმოდრეკით არ ვალვიარებ,
- 73 „რის გამხელასაც ცოცხალთ შორის ვერიდებოდი“  
მე თავდახრილი ყურს ვუგდებდი და მაშინ ერთმა  
იმ სულთა შორის (არა იმან ვინც საუბრობდა).
- 76 მძიმე ლოდის ქვეშ დაიგმინა, გაზნიქა ქელი,  
შემომაჩერდა, რა შემიცნო მახსენა მყისვე,  
თან მიცქეროდა მომნუსხველი მზერით და მეცა.
- 79 გვერდით მივსდევდი, ყურს ვუგდებდი ჩემთან მოუბარსა  
„აჰა, შენა ხარ ოდერიზი“ წამოვიძახე,  
პატივსადებლად გუბიოსი ამ ხელოვნებას
- 82 ალუმინარეს უწოდებენ ახლაც პარიზში.  
„ძმაო, — მომიგო, „სურათები ყალბით ნახატი,  
„ხალისიანი უფრო არის ფრანკ ბოლონელის,

58. აქ დანტესთან მოსაუბრე ლანდი გამოყვანილია როგორც აზნაურული ქელ-  
ნაღლობის გამომხატველი.

59. აღდობრანდესკი — სანტაფიორეს ცნობილი აზნაურები იყვნენ.

79. Oderisi dagubbio — მხატვარი მინიატურისტი.

80. ოდერიზი — ქალაქ გუბიოს მკვიდრი იყო.

- 85 „ახლა მას ჩემზე უფრო მეტი ერგო პატივი.  
 „და მართებულად სხვისი ქება მე არ შემეძლო,  
 „ვიდრე ვცოცხლობდი, რადგან სენად მჭირდა მე მაშინ
- 88 „პირველობისთვის გააფთრებით ბრძოლა და შრომა.  
 „სამაგიეროდ სატანჯველი მიმეზლო აქვე,  
 „და აქამდისაც ვერ შევძლებდი თვითონ მოღწევას,
- 91 „სიცოცხლეშივე უფალს რომ არ შევედრებოდი.  
 „ჰოჲ, ამოა განდიდებავ კაცთა შეძლების,  
 „რა მალე ელის ჭკნობა შენსა მწვანე მწვერვალებს,
- 94 „თუ არ უმაგრებს მას საფუძველს ხანგრძლივი ჟამი.  
 „მხატვრობის ველზე ჩიმაბუე იყო პირველი,  
 „ახლა ჯიოტოს აკუთვნებენ დიდ ოსტატობას,
- 97 „და ჩიმაბუეს სახელს ჭკნობა შემოპარვია.  
 „ორ გვიდოს შორის მოიხვეჭა ერთმა სახელი  
 „სიტყვის ოსტატის, შესაძლოა იშვას მესამე,
- 100 „ვინაც ორივე დაჩრდილოს და გააბათილოს.  
 „ქარის ქროლვასა მივამსგავსე აზრი ხალხისა,  
 „ხან აქეთკენ ჰქრის ეს ნიავი, ხანაც იქითკენ
- 103 „და სახელებს ცვლის ნიავექარის მიმართულება.  
 „განა სახელი უფრო დიდი გვექნება მაშინ,  
 „როცა სხეული შევაჭკნება სიბერისაგან,
- 106 „თუ მაშინ როცა მოგეწევა სიკვდილი ყრმასა?  
 „ათასი წელიც გაიქროლებს, ეს ჟამი მცირე  
 „მარადჟამობის შეფარდებით ერთი წუთია,
- 109 „ვარსკვლავთა ეტლის მოქცევაში გამომწყვდეული  
 ეგეც, ვინც ოდნავ მიჩანჩალებს ჩემს გვერდით ახლა,  
 „ოდესლაც ჰქუხდა ტოსკანაში სახელგანთქმული,
- 112 „ახლა არავინ არ ახსენებს მას სინაშიც,  
 „რომელიც ეგზომ დაარბია ფლორენციამა,  
 „და ფლორენციას გულზვიადად იცნობდნენ მაშინ,

81. ალუმინარე — კოლორიზატორი, ფერადებით შემეკობი.

86. ჩიმაბუე — ჯიოტოს წინამორბედი მხატვარი ადრიან რენესანსის პერიოდისა.

87. გვილო გვინიჩელი (+ 1276). — დანტეს წინამორბედი პოეტი.

87. A. მეორე გვილოდ კომენტატორები გულისხმობენ გვილო კავალანტის, (+ 1302) აგრეთვე მეგობარი დანტესი.

111. ქალაქია იტალიაში.

- 115 „დღეს მეძავობით და სიავით სახელგანთქმულსა.  
 „თქვენი დიდება ემსგავსება ფერს ბალახისას,  
 „რომელიც იშვის და დაჭკნება იმავე ძალით,
- 118 „რამაც მიწაზე ის დაბადა, აღმოაცენა“.  
 მე მას მივუგე: „ეგ სიტყვები თავმოდრეკილის  
 გრძნობას მიღვიძებს, სიამაყის გამქარვებელი,
- 121 „მაგრამ ვინღაა იგი ვინაც ახსენე ძოღან“?  
 „ეს პროვენცანო სალვანია“, მომიგო სულმა,  
 „აქ მოხვდა იგი, რადგან ისე გაკადნიერდა,
- 124 „რომ მთელ სიენას მოუნდომა ხელში ჩაგდება.  
 „ასე ვიდოდა, ასე დადის დაუცხრომელად  
 „სიკვდილის შემდეგ და ამგვარად იხდის აქ სასჯელს,
- 127 „ზომაზე მეტი თავხედობის გამოჩენისთვის.  
 ვკითხე „თუ სული იქ რომელი მოელოდება  
 „სიცოცხლის სამანს, სინანულის მოხდას აყოვნებს
- 130 „ქვევით დარჩება, აქ ზემოთკენ ველარ მოაღწევს  
 („მას ველარც ლოცვა შევლის რამეს სხვის ავლენილი)  
 „სანამ იმდენი ზანი გავა, რაც მან იცხოვრა,
- 133 „რალად ეძლევა მას ნებართვა აქ შემოსვლისა“?  
 მომიგო სულმან: „როს სახელი ბრწყინავდა მისი,  
 „საკუთარ ნებით, სიენაში შუა ფოლორცზე
- 136 „ის გამოვიდა, უკუაგდო ყალბი მორცხვობა,  
 „თავის მეგობრის, კარლოსის ტყვის გამოსახსნელად,  
 „თრთოდა, კანკალით დადიოდა მღელვარე ბრბოში,
- 139 „ფულს თხოულობდა მეგობრისა მისაშველებელს,  
 „სხვას არას გეტყვი, კარგად ვიცი, სიტყვები ჩემი,  
 „შესაძლო არის ვერ გაიგო, ბნელად გეჩვენოს,
- 142 „მაგრამ დრო გავა და შენივე ქვეყნის შვილები  
 „მოიქცევიან იმნაირად რომ შენ გაიგებ,  
 „ამ ქველი საქმით, ვით შეიძლო მან აქ ამოსვლა“.

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.

121. პროვენცანო (ანუ პროვენცან) სალვანი — სიენის მოქალაქე იყო.

130 — 141. ამ სტროფებში ზოგიერთი კომენტატორი ხედავს წინასწარ თქმას დან-  
 ტეს თანამემამულეთა მიერ პოეტის სამშობლოდან გაძევებისა.



# ზაფხური შემოქმედება

## კალოს იარაღები

საბძელში ეწყო ერთადა  
იარაღები ძველია,  
არნად, ნიჩაბი, ფიწალი  
და მოკობილი კევრია.  
გულით ელოდნენ ზაფხულსა,  
კალოზე მოსვლას, ტრიალსა,  
დილით ადრიან ძნის ჩაშლას,  
კევრისა ჩუმად სრიალსა.  
ეკვეხებოდნენ ერთმანეთს:  
„მე მეტს ვაკეთებ შენზეო“.  
ფიწალმა უთხრა პირველად:  
„საქმე ჰკიღია ჩემზეო,  
თუ არ ავჩეჩე მე ძნები,  
არ გავასწორე კალოო,  
კევრო, შენ იმას ვერ გალეწ,  
რაც უნდა გაიწვალოო“.  
კევრმა ფიწლისა სიტყვაზედ  
გადიხარხარა მკვახედა:  
„ამას რას ამბობს უგნური?  
თქვენ ამის ჭკუას დახეთა!  
აბა თქვენ ჩემთან რას მოხვალთ,  
მთელი დღე გამაქვს შრიალი,  
ვურბენ მე კალოს გარშემო,  
სანამ ადგება ნიაფი!“  
არნადმა უთხრა: „მომხედეთ,  
რომ წაიგრძელებთ ენაო,  
მთელ დღეს ირბინე და ძნები  
მოჰრჩი, გალენწე შენაო,  
ახლა თუ მე არ დავტოკდი,  
კალო არ შეგიხვეტო,  
ვინ მოსცლის კალოს ხეალისთვის?  
ამასაც დამიხედო!“  
ნიჩაბი იდგა მდუმარედ,  
წყნარად უცქერდა ყველასა,  
მერმე სთქვა: „როგორ გგონიათ,  
ჩემგან არ ელით შველასა?  
როცა შეჰხვეტ შენ, არნადო,  
კევრის ნალეწს, ნატრიალებს,  
კალოს პირზე მიგაგდებენ,  
შემდეგ იქ ვინ იტრიალებს?“

მაშინ მე ვარ, ჰაერში რომ  
ვისრვი ხორბალს ბზისგან ვარჩევ,  
ვანიავებ და ვახვავებ,  
ამ ხვავებით ყველას ვარჩენ“.

ამ დროს კართან ატუზული  
მათ ნიავი უგდებდა ყურს.  
გუნებაში დასცინოდა  
მათ ლაპარაკს ფუჭ-სულელურს;  
გულმა ცეცხლად მოუთმინა,  
უცბად შიგნით შეგრიალდა  
და საბძელში ბზე ნარჩომი  
მის შესვლაზე შეგზრიალდა.  
თქვეს: „ნიავე, რასა შვრები?  
შემოდით ჭკვიანურად,  
კალოზედაც ასე იცი,  
სირბილიო უგუნურად!“

ნიავემა კი ასე უთხრა:  
„მეც მისმინეთ ყველამო,  
ჩარხი უკულმა აგიბათ  
თქვენმა ბედისწერამო.  
მე თქვენს ლაპარაკს ვუსმენდი,  
აქ რომ გქონდათ ყველასაო,  
მაგრამ გეტყვით, ნულარ ელით  
თქვენ დღეიდან შველასაო.  
კალოს ველარ ეღირსებით,  
დაეთხოვეთ წადილსაო,  
ტყუილ-უბრალოდ ერთმანეთს  
ნულარ ესვრით ქადილსაო.

ხალხი შრომობს ახლა ყველგან,  
მანქანები გრიანებსო,  
თქვენს სამსახურს აწ მანქანა  
ჩარხით დაატრიანებსო:  
მოჰხნავს, დასთესს და დაჰფარცხავს,  
გაჰლეწავს და გაახვავებს,  
სწრაფად საქმეს გააკეთებს,  
შშრომელის გულს გაახარებს.  
ალარა ხართ თქვენ საჭირო,  
ნულარ იწუხებთ თავსაო,  
ხალხი ახალ გზას დაადგა,  
საქმეს მიჰმართა სხვასაო“.

უთხრა და სწრაფად გაფრინდა  
გარდაეწლო მინდორ-ველებს,  
ოფლიანი გულმკერდები  
გაუგრილა იქ მშრომელებს.  
ქველებმა კი ხმა ჩაკმინდეს,  
ჩუმის ცრემლით ამდულარდნენ  
და იმ დღიდან, უქმად ქმნილნი,  
სამუდამოდ მიიმაღნენ.

მთქმელი ანდრო ჭიბალაშვილი.  
(ს. იყალთო).

ჩამწერი ი. მკედლიშვილი.

# კ რ ი ო ი ა ა

დ. ჯანელიძე

## ალექსანდრე ყაზბეგის უბის წიგნაკები.

მწერლის უბის წიგნაკებში ინახება ის, რაც სიტყვის ოსტატს გულთან ახლოს უტარებია. ნაუცბათევი ჩანაწერებიდან ვეცნობით, თუ რა აკვირდებოდა მხატვარი, როდის რით დაინტერესდა, რა გამოარჩია, რა მასალას იხვეჭდა, რა ფიქრი აღეძრა, რაზე იოცნება და როგორ შემუშავდა მისი ქმნილების პირველი შთანაფიქრი.

ამ ინტერესით გადავფურცლოთ ალექსანდრე ყაზბეგის უბით ნატარი წიგნაკები.

### ა) მიზანსწრაფვა და საკუთარი თავისადმი რწმენა

1868 წელს მოსკოვიდან ალექსანდრე სწერს დედას:

„მე და ჩემმა ამხანაგებმა გადავწყვიტეთ საქმე, რაკი ხარჯი მომდის, კიდევ გამოვიტანო რამე. რო მოვიდე, მიყურებდნენ, როგორც ნასწავლ და საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცს... მართალია, ძნელსა და ძნელ საქმეს ვებრძვი, მაგრამ მაქვს იმედი თავი გავიტანო და პავლესაგან ნასწავლი ქამანდი ვუგდო, რომელსაც წაუტყვევლად არ გადამიჩნება სიძნელე საქმისა და მაშინ მცირე დავითსავით, როგორც ის მივარდა გოლიათს და მოსჭრა თავი, ისე მე ამ სიძნელეს და შემოვალ საქართველოს კარებში დიდებით“. (საქ. მუზეუმის ხელნაწერების ფონდიდან S 3977).

### ბ) სტუდენტების სიმღერა

ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ნაწერებით ხალხის სამსახურისათვის აღვზნებული სტუდენტობის სიმღერა გამოუთქვამს ალექსანდრე ყაზბეგსაც:

„ის სტუდენტი არ არის, ვინც მოძმეს უღალატებს,  
თვითონ მაძლარი ივლის, სხვას კი არ შეიბრალებს,  
ვინც ფრაკით გაჭიმული, კალასკით ისეირნებს,  
ლივრებით შეკაზმულსა ბიჭს კოზლაზედ იტარებს.

: — : — :

გავატაროთ ეს ღამე მხიარულათა,  
სტუდენტები შეყრილან ერთად, ძმურათა!

ვინც რომ საბრალო გლეხში თავის ძმას დაინახავს,  
ვინც რომ იმას კაცურად გულწრფელათ (გაურჩეველია)  
ვინც, რომ უპატიოსნოდ სხვას მტირალად არ დასვამს,  
აი, ნამდვილი სტუდენტი, — ძმათ მივიღებთ ჩვენ იმას.  
გავატაროთ ეს ღამე მხიარულათა,  
სტუდენტები შეყრილან ერთად ძმურათა.

ვინც რომ თვისა ოფლში ყინვა სიცივობაში,  
ღღეებსაც გაატარებს ხალხთან შიმშილობაში,  
გამოიციდება კარგად თავის ღარიბობაში  
მხოლოდ იგი მოიტანს სარგებლობასაც ხალხში.

გავატაროთ ეს ღამე მხიარულათა,  
სტუდენტები შეყრილან ერთად ძმურათა!

ვინც რომ ყინვიან ღამეს სამშობლოს მოიგონებს,  
თავის შეწუხებაში სხვის წუხილსაც გაიგონებს,  
ვინც რომ სიმართლისათვის თავსაც არ შეიშურებს,  
აი ნამდვილი სტუდენტი, — ის რასმე გააკეთებს.  
(საქ. მუზეუმის ხელნაწ. S 3983).

ეს სამღერა მწერლის უბის წიგნაკიდან, შემდეგ საგრძნობლად სახე-  
შეცვლილი, საცენზურო პირობებთან შეგუებული, „ცხოვრების ჩარხში“  
შეიტანა მწერალმა (თხზ. 1904. გვ. 1147).

## ბ) ხალხში გაცვლა

აღ. ყაზბეგი იმ თავითვე გაუტაცნია ხალხთან დაახლოების, მისი  
ცხოვრების ზედმიწევნით შესწავლის აზრს. მის უბის წიგნაკში ვკითხუ-  
ლობთ:

„უწინდელ დროში ათასი მიზეზები აყენებდა ხალხს იმ მდგომარეობაში,  
რომლებიც არ აძლევს იმათ ნებას, ისე თავისუფლათ, როგორც ეხლა ხალხთან.  
ე. ი. გლეხ კაცობასთან დაახლოებას, გაცნობას და იმათ ცხოვრების თვალყუ-  
რის გადევნებას უყურებდნენ, როგორც უღირს მუშაობას. ყველა ცდილობდნენ  
სხვა გზა ამოერჩიათ ცხოვრებაში, რომელიც უფრო ადვილიც იყო და უფრო  
მოხერხებულიცა. ეს გზა იყო სამხედრო სამსახური და მიუხედავად იმ აზრი-  
სა, ჰქონდა კაცს სამხედრო სამსახურის ნიჭიერება თუ არა, მაინც მცოდნე  
ანბანისა, თუ უცოდნელი ადგებოდნენ ამ ბილიკს. ეხლა, როდესაც დროება  
გამოიცვალა და ქვეყანამ დაინახა, რომ სამხედრო სამსახურისათვის, მარტოკა  
გულადობა არ კმარა და სწავლაც საჭირო არის, სამხედრო სამსახურში შემ-  
სვლელების რიცხვიც შემცირდა. მაშასადამე ის პირები, რომლებიც უწინ სამ-  
სახურში წავიდოდნენ, ეხლა დარჩენ შინა და ძალით თუ ნებით მოუხდა მდა-  
ბალ ხალხში არევა, ძალით თუ ნებით იმათ მოუნდა ჩვეულებების შეტყობა,  
როდესაც ისენი დააკვირდნენ იმათ ცხოვრებას, დაინახეს, რომ გლეხთა ცხოვ-  
რება და თვისება ისეთი საზიზღარი არ ყოფილა, როგორც უყურებდნენ უწინ  
და არამც თუ საზიზღარი, არამედ ჩვეულებები არის, ათასი შეხედულება, ათა-

სი მიდრეკილება იმათს ცხოვრების წყობილებაში, რომელიც სავსე არიან გონიერებითა მოფიქრებით და თითონ პოეზიით, ამასთან ღირსნი არიან ყველა კაცისაგან ყურათ ღების.

მართალია ჩვენს ხალხში ბევრი ასეთი ჩვეულებები არის, რომლებსაც ეჭირვებათ გამოცვლა, შეახლება, მაგრამ ყველა ჩვეულებას თავის დროზედ ექნებოდა დასაწყისში ბევრი, ძალიან ბევრი საფუძვლიანი მიმზიდველობა. ამ ჩვეულებების გამორკვევა, გაშინჯვა, აღწერა ჩვენა გვგონია, არც უინტერესო იყოს და არც უსარგებლო. ამისათვის იმედი გვაქვს, რომ ბევრნი მიიღებენ ამ მოძრაობაში მონაწილეობას და გაგაცნობენ თავთავიანთ ხალხის ცხოვრებასთან“ (საქ. მუზეუმის ხელნაწ. S. № 3988).

აღ. ყაზბეგმა 1871 წ. მეცხვარეობა დაიწყო, და რვა წელი მთაში იყო (1879 წლამდე):

„გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომეკლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშითა და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თანა სდევს... მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს და რალა დამაყენებდა შინ“ („ნამწყემსარის მოგონებანი“).

#### დ) გაზეთში მუშაობა

მწერალს მახვილი თვალით მხერა მოეთხოვება. მან მნიშვნელოვანის შიგნებისა და გამორჩევის უნარი უნდა გამოიჩინოს, ანტერესის აღმძვრელი თხრობით გაგვიტაცოს, პირველი სიტყვიდანვე მოგვხიბლოს, მისი ნაწერის ბოლომდე, დაუხარებელ ჩამყოლად გვიგულოს, ხოლო, დაბოლოებისას კი, ამბის გაგრძელება გვანატრებინოს. მიტომაცაა, რომ მწერლები ბევრს ვარჯიშობენ წერასა და ამბების აღწერაში. თითქმის ყველა დიდი მწერალი საგაზეთო მუშაობით წამოიზარდა. დიკენსა დიდხანს მუშაობდა რედაქციებში. მაქსიმ გორკი „იეგუდილ ხლამიდას“ ფსევდონიმით სწერდა გაზეთში. ლეონიდ ანდრეევი დიდხანს იყო სასამართლოებში გაზეთების კორესპონდენტად. მე-19 საუკუნის თითქმის ყველა ქართველი მწერალი გაზეთის მუშაკიც იყო. ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები დიდ დროს ანდომებდნენ საგაზეთო წერილების წერას.

ა. ყაზბეგმაც მწერლობა კორესპონდენციების წერით დაიწყო. მის უბის წიგნაკში შემონახულია ერთ-ერთი, მისი პირველი კორესპონდენციის შავი:

„როგორც ყველგან აქაც რამდენიმე პირი მმართველებისა იმ გვარებია, რომელნიც უფრო თვალყურს ადევნებენ რაც კაცს პირველთავე თავში ხვდება. არ უფრთხილდებიან ფულებს, როგორც მაგალითად ამ ბარაკების აშენებაში დახარჯეს. ეს წარმოუთქმელი ხარჯია და ამ ფულებით ძალიან ადვილად შეიძლება საზამთრო სრულებით გამართული სახლები დაედგათ და ეს სახლები სამუდამოთ დარჩებოდა და უფრო სასარგებლოც იქნებოდა“ (ხელნაწ. S. 3983).

როგორც მისი უბის წიგნაკიდან სჩანს, მას განზრახვა ჰქონია დაეწერა საგაზეთო წერილების მთელი სერია სათაურით: „ჩვეულება და ცხოვრება მოხვევებში თანაშეერთებით მომაჯნავე ხალხისა და ერთიერთმანეთში მოძრაობა“ (ხელნაწ. S. 3988). 1880 წ. ა. ყაზბეგმა, რვა წლის ხალხში ყოფ-  
მნით შეგროვილი მასალის ნაწილა მართლაც გამოაქვეყნა გაზ. „დროე-  
ბაში“ რამდენიმე ფელეტონად: „მოხვევები და მათი ცხოვრება“, „გადა-  
კარგული მხარე (ხევსურეთი და ხევსურები)“ და სხვ. შემდეგშიც, როცა  
ის სახელმოხვეჭილა მწერალი ხდება, მას გაზეთში მუშაობა არ დაუგდია  
და მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა.

მ) ალ. ყაზბეგი ხალხური ლექსების შემკრები

ა. ყაზბეგის უბის წიგნაკებში მრავალი ხალხური ლექსია ჩაწერალი:

გამაჯავრა გონჯი იყო  
გამოვექეც ვაისაო,  
წავედი და დავეძებდი  
შევეყარე ვუისაო.

ენა კაცისა ქალისა  
ხანჯალზედ უფრო მჭრელია:  
გველი გარედგან, კაცი-კი  
შიგნიდან თურმე კრელია.

ხემ სივადე დაიწყო,  
ჯერ გახმა თავში წვერია,  
კაცსა ბინძურსა არ შერჩეს  
ალარც თმა, ალარც წვერია.

ქალს სილამაზე რას მისცემს  
თუ გული ფუყე ჰქონია.  
კაცსა ტვინ გალაყებულსა  
თავი დევ-გმირი ჰგონია.  
მარტო მშრომლისთვის ძუძუნი  
დედისა შესარგონია.  
ზოგი დიაცად გაჩნდება;  
კაცად არ გამიგონია.

ა. ყაზბეგი თავის მოთხრობებს ხალხში შეკრებილი შაირებით ამკობს.  
მისა გმირების ფანდური ხალხური ლექსებით ჟღერს. ღინჯა იმღერის  
ფანდურზე:

„ღარიბობა და ობლობა  
ორივე მეტად ძნელია.  
სჯობს ღარიბობა ობლობას  
ობლობა მეტად ძნელია.“

(„ელგუჯა“).

ყაზბეგისათვის განსაკუთრებით მიმზიდველია საგმირო ლექსები:

„როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს  
ამ ჩემსა მოგონებასა:  
ერთხელ სჯობია სიკვდილი  
სულ მუდამ დაღონებასა“.  
(„მამის მკვლელი“).

ყაზბეგის ყურადღება მიიქცია ხალხის რევოლუციური ბრძოლის ეპოსმა, — ლექსებმა არაგვის ერისთავისაგან მოსყიდულ და გააზნაურებულ შიოლა ლუღუშაურზე, რომელიც ბატონ-ყმობის დასამკვიდრებლად მთას შესეული მტარვალ ფეოდალების ნების ამსრულებელი გამხდარიყო:

„შიოლაჲ ლუღუშაურო,  
სკამს ზიხარ ერისთვისასა,  
ალარც ქალს ინდობ, ალარც კაცს  
ალარც ბაღს ერთი თვისასა,  
პირიდან ცეცხლსა მეხად ჰყრი,  
კლდეს აღნობ ბასრის ქვისასა“...

ალარც, ქალს ინდობ ალარც კაცს,  
ალარც ბაღს ერთი თვისასა.  
გულაც სულ გაგქვავებია,  
გიგავს ნაგლეჯსა კლდისასა...  
ძმაც კი აღარ გაგიშვიან,  
ძმა მიმავალი დისასა,  
ცხენი სთხოვე და მოგართვა,  
შვილდს რაღას სთხოვდი რქისასა.  
შვილდი არ გაეღებოდა  
მთრეხელსა ნაპირისასა...

ამ ლექსებმა შთააგონეს ყაზბეგს დაეწერა „ხევის ბერი გოჩა“ და შესდგომოდა ჯერ „შიოლა ლუღუშაურისა“ და შემდეგ „ნინოს“ წერას. ორი უკანასკნელი მოთხრობა დაუმთავრებელი დარჩა. ისტორიულ თემებიდან ყველაზე მეტად ყაზბეგს გლეხობის ფეოდალებთან ბრძოლის თემა იტაცებდა და, როდესაც მემატინეთა ქრონიკებში საამისო მასალას ვერ პოულობდა, ხალხური პოეზიის წყაროს ეწაფებოდა.

### 3) სიტყვის მარაგი

ყაზბეგის უბის წიგნაკებიდან სჩანს, რომ ის დიდა სიყვარულით ჰკრეფდა სიტყვებსა და ცალკეულ გამოთქმებს:

აბაზანა,  
აბეწულა,  
აბი,  
აბლაბუდა,  
აბრა,  
აბუტარაკი,  
აგარი,

აგვანი;  
აგზნება.

მწერალს უბის წიგნაკში სხვა გამოთქმათა შორის ჩაწერილი აქვს არა-  
გვის პირად გაგონილი ვიღაც ელისაბედ ოქროპირის ასულის ნათქვამი:  
„შვილო მურტლად ცხოვრებაკაცისა კეთილს არას მოასწავებს. აბა, შე-  
ხედე მზესა და მთვარეს — მათი სიწმინდე აშუქებს ქვეყანას“.

### \*) თარგმნით ვარჯიში

ყოველი დიდი მწერალი, ახალგაზრდობაში მაინც ბევრს სთარგმნიდა. ილიამ ჭაბუკობაში სთარგმნა გოეტეს, ვალტერ სკოტის, ბაირონის, პუშკინის, ჰაინეს, რიუკერტის და სხვ. ლექსები. ალ. ყაზბეგიც გატაცებული ყოფილა თარგმნით. მან, ეტყობა კარგად იცოდა, რომ უცხო ენებით ლექსების თარგმნა მის სამწერლო კალამს გააფხიანებდა. აი. მის მიერ აღრინდელი თარგმნის ნიმუშიც, მისსავე უბის წიგნაკიდან:

Держа венец над головой твоей  
Страдал ли или просто изнемог.  
Теперь сказать я тебе не сумею,  
Но за тебя молиться я не мог.

როდესაც შენ თავზედა გვირგვინს გიჭერდი  
ვიტანჯებოდი, ვწუხდებოდი თუ ვღუნდებოდი.  
ეხლა მე თითონ ვერ გეტყვი მაშინ რას ვგრძნობდი,  
მხოლოდ მაშინა მე შენთვის არ ვლოცულობდი.

(ხელნაწ. S. 3983).

ეს არის თითქმის სიტყვა-სიტყვით თარგმანი, რომელიც შემდეგ დამუშავდებოდა და სრულყოფილ ფორმას მიიღებდა.

### თ) მწერლისათვის „საჭიროება ხიმის ცოდნისა და ხამბიონის სოუსის ბუდინგისა“

ალ. ყაზბეგის უბის წიგნაკში შენიშვნებს იპოვნით „ხიმის ცოდნის საჭიროებისა“ და „ბუდინგის სოუსის“ შესახებაც.

„ხიმის ცოდნა საჭირო არის ყველასათვის, რადგანაც ეს საგანი არის საძირკველი მთელის ბუნების საგნებისა. — ეს გვიხსნის ყოველდღიურს ბუნების მოვლენებს. უხიმიოთ ჩვენი სუნთქვა და ნაყოფის მიღება, პირუტყვთ ცხოვრება, ქვათქმნილება, წყლის შედგენა და ნაყოფთ აღზრდა დარჩებოდნენ საზრდადამოთ გამოუცნობარს გამოცანად“.

და იქვე:

„ხამბიონი სოუსი ბუდინგისა

კვერცხის გული — 3

კვერცხის ცილა — 1

ღვინო — ½ სტაქანი

შაქარი — 10 ნაჭერი

სულ ერთ ქვაბში ჩაისხას და აითქვიფოს. ცეცხლზე კი არ აადულოს“.

(ხელნაწ. S. 3986).



მწერალი ხშირად მთელ ამბავს რამდენიმე სიტყვით ჩაიწერს უბის წიგნაკში, რომ შემდეგ მით ფაბულა გამოიმუშაოს, სუჟეტა გამართოს და მოთხრობა დასწეროს. აი, ერთ-ერთი ჩანაწერი:

„სვიმონს რომელსაც იმედი ჰქონდა ცოლის მზითევით გადაეხადა ვალები უარს ეტყვიან საცოლეზედა, ამის გამოისობით სვიმონი სრულიად გაღარიბდებოდა მოვა ნინოსთან და ნინოს ისევ შეებრალება“.

(ხელნაწ. S. 3988).

კ) საანდაზო

ყოველი დიდი მწერალი განსაკუთრებული სიყვარულით ეკადება გრძელი სიტყვის მოკლედ მოჭრის ოსტატობას. ა. ყაზბეგიც ჰქმნიდა, ჰკრეფდა ისეთ საანდაზო მასალას, რაც გამკალავად ასახავდა მისი დროის ყოფაცხოვრებას.

— აქტიურობა მინდაო. — სთქვა ყმაწვილმა კაცმა.

— ლამაზი ცოლი გყავსო? — ჰკითხეს მას.

— მწერლობა მინდა დავიწყო. — სთქვა ერთმა ყმაწვილმა კაცმა.

— პირმოთნეობა, ლანძღვა და წელის ხრა იციო?

— ცოლი მინდა შევირთოო. — სთქვა ერთმა ყმაწვილმა კაცმა.

— რამდენ ქალთან გყავს შეილებიო? — ჰკითხეს მას.

— არც ერთთანაო? — წარმოსთქვა მან.

— მაშ წადი, ჯერ ნიკი გამოიჩინე, — უპასუხეს მას.

— სად მიხვალო? — ჰკითხეს ერთს განდევნილს.

— ილიას შესაგონებლადაო, — უპასუხა მან.

— მაგის ცდას — ქვას თავი დაჰკრაო?

— რას ელი?

— ნ. ქანანელის პასუხს.

— მეორედ მოსვლას მოელოდინო?

— სად მიხვალო? — ჰკითხეს ყმაწვილ კაცს.

— სალიტერატუროდაო, — მიუგო მან.

— მაგდენ ვაი-ვგვლახს, ლაფი ეხლავე ჩამოისხაო? — უთხრეს მას.

ლ) მწერალი და სიმღერა

ა. ყაზბეგის უბის წიგნაკში ვნახულობთ ქართულ სიმღერათა ჩამოთვლას (მწერალს ესეც გამოადგება): „სამა“, „მუმლი მუხასა“, „ურმული“, „ნეტავი გოგო მე და შენ“, „ჩუხჩუხი“, „ალილო“, „გაიფურჩქნება“, „დალა“, „მოვალ მაგრამ“ (მეგრული).

და იქვეა ქართველ მომღერალთა გუნდისადმი მიძღვნილი მისი ექსპრომტიც:

ზეცამ თქვენსა დასაწყისსო  
გზა ქებული ფართოდ მისცეს,  
თქვენი ხმისა გამგონელი  
აღდგენ, — მტერი ზურგზედ დასცეს.  
ყველა ნოტა შესარგებლად  
სასარგებლოდ ხალხში გასცეს.  
თქვენს მსმენელთა გულის უღერას  
გამარჯვებაც მალე მისცეს,  
რომ ქართველმა თავის მშობელს  
კვლავ სალაში რიგზედ მისცეს.

## მ) ხალხთა ძმობის მკადაბებელი მწიკაღლი

როდესაც ყაზბეგმა მთადაბარი მოიარა და ხალხს გაეცნო, სწერდა:

„როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გადავწყვიტე მოთხოვნებად გად-  
მოგცეთ და გაგაცნოთ იმ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები, რომელ-  
ნიც ან საქართველოს 'მეადგენს, ან არა და, იმის აუცილებელს დამოყვრებულს  
მეზობლებს, რომლებთანაც უფრო მკვიდრი კავშირი არ აგვცდება მომავალში“.  
(„ნამწყესარის მოგონებანი“).

ყაზბეგი თავის შემოქმედებით ალღოთი გრძნობდა, რომ ხალხთა ძმო-  
ბისა და მეგობრობის იდეას ხორცი უნდა შეესხა და მიტომაც თავის ნა-  
წერებში თანაბარი სიყვარულით და თანაგრძნობით ხატავდა ძოხევესა  
და ჩაჩნებს. ა. ყაზბეგის უბის წიგნაკებში შემონახულია მთიელი ხალხი-  
სადმი მიძღვნილი ლექსები. აი, ერთი მათგანი, ექსპრომტად გამოთქმული:

### სიღმერა ჭისტისა

გვიყვარს ომი ჩვენ მტერთანა,  
ტყვიანზედ ტყვიის გაგზავნა.  
დროს გატარება და ლხინი  
დოქებით ცეცხლის პირთანა.

არვის შევარჩენ წყენასა  
მეტადრე უსამართლოსა,  
ჩვენ ერთხელ ვირჩევთ სიკვდილსა  
სულ მუდამ დაღონებასა.

შამილ, შენს აჩრდილს მე მოწიწებით  
ვუგზავნი სალაშს თანაგრძნობისას,  
შენ შეასრულე დანიშნულება,  
და დაამტკიცე მთისა შვილობა.

შენ დაამტკიცე, რომ მთის შვილები  
ბრძანების ქვეშე ვერ ხერხდებიან,  
და ყველა ძალის დატანებასა  
ყოველთვის წინა აღუდგებიან.

ყველა ვინც გინდა, თუნდ ბავშვი იყოს,  
საჭირო დღესა გალომდებიან,  
თავის მამულის სახელისათვის  
თავშეუწყალოდ იხოცებიან.

თუ რომ ამ დროში ჩუმად არიან  
მისთვისა რომა ემზადებიან,  
ნახავთ ერთ დღესა რა რიგ ღვთის რისხვათ  
... თავზედა დაესხმებიან.

მოჩხუბარიძე.  
(ხელნაწ. S. 3985).

ა. ყაზბეგი სწავლობდა მთიელი ხალხების ზნესა და ჩვეულებას. მათ ენებსაც კი. მისი უბის წიგნაკი ავსებულა მთიელ ხალხთა სიტყვებითა და გამოთქმებით:

მჭადი — ციცილი.  
სიმინდი — ხჰშაი.  
ფქვილი — სისკილა.  
თაფლი — მოხ.  
გზა — ნიუ.  
სად მიდის — მიჩ ბოლდა.  
შინ არ არი — წალავაც.  
ერთხელ მაინც მაკოცე — ცა უბა იახმე.  
შენ მე არ გებრალეზი — ჰზიუნა სოცავთეზა.  
მე კი ისე მიყვარხარ — სონა ვიეზა.  
მე ვესვრი — ას თოუხი ახა თოხ.  
დავკრამ — თოიხან.

ყაზბეგს გადაუთარგმნია ქისტური ხალხური სიმღერაც:

იალ ლაი ვაილაი ლაალაი  
იალ ლაი ვაილაი ლა იალალაი  
ოჰ! ღმერთო!  
ჩემთვის არ არის  
არც სახლი არცა ადგილი.  
არც კიდევ ტაძარ წმიდაი,  
რომ ვიყო შენ წინ მლოცველი.  
არცა სახნავი მიწაი,  
არცა მდინარე წმინდაი,  
ერთილა დამრჩა თოფი მე  
მტრისა პასუხის მცემელი.

(ხელნაწ. S. 3985).

ნ) თავისუფლებასა და საფორგლოსათვის მებგარი მებრძოლი

ა. ყაზბეგმა უარყო თავის გვარიშვილობა, ხალხში გავიდა, ხალხის მისწრაფების, ხალხას ჭირისა და ლხინის გამომხატველი მწერალი შეიქნა. არისტოკრატიულმა წრემ ყაზბეგი აითვალწუნა, ათასგვარ, მის დამამცი-

რებელ ლეგენდებს სჩმასავდნენ ხალხში გასულ მწერალზე. ყაზბეგი გვიამბობს, ერთხელ ცხვირიდან დაებრუნდი, შინ სტუმრები დამხვდაო. ტანისამოსის გამოცვლაც კი ვერ მოვასწარიო —

„მე ბოდიში მოვიხადე და მივედი: მართლაც რა მოსარიდი იყო ტანისამოსი ნათესავებთან? მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ასვლის უმაღლეს, ჩემი მოხუცი ნათესავი დამხვდა შემდეგის სიტყვებით:

— იფ, იფ!.. დამიხედეთ მთის მებატონის შვილს! მე გაშვერილი ხელი ისე დამრჩა და მოხუცს გაშტერებით დაუწყე ყურება. ჩემი ყმაწვილი ნათესაობაც იქვე ახლოს მიკუნჭულიყვნენ და ჩუმად იცინოდნენ.

— არა გრცხვენინან? ნამუსი აღარა გაქვს?... მეუბნებოდა გაცხარებულ მოხუცი.

— რად მლანდღავთ, ბატონო! რა დამიშავებია? ძლივს მოვახერხე სიტყვა.

— კიდევ რომ კითხულობს?... ბიჭო! მამაშენი მეცხვარედ გზრდიდა? მაგისთვის დახარჯა შენი წონა ფული?... თუ მეცხვარეობა გინდოდა, შე ჩემო ცოდვით სავსე, ან რუსეთს რაღათ მიდიოდი, ან რაღათ ხარჯავდი?... მიებარებოდი ჩემს სარქალს და ასეთს მეცხვარეობას გასწავლიდა, რომ უკეთესი აღარ იქმნება!..

— ხალხში გავიდა, იმათი დაახლოება უნდა კნიაზო, წამოტყვრა ერთი ყმაწვილი აფიცერი და გაილიმა.

— ხალხში მინდა გარევა და დაახლოება თუ არა, ეგ თქვენს ჭკუას არ ეკითხება, — ვუპასუხე მე და დავუმატე: — მაგრამ იმას კი გეტყვით, სიტყვების რახა-რუნს მე მეცხვარეობა მიჩვენინან, საქმე მაინც არის...

(„ნამწყემსარის მოგონებანი“).

მეფის ცენზურის გამო ყაზბეგს ბევრი რამ უნდა დაეთმო და თავის ნაწერებში მათ ადგილს ვერ მისცემდა. უბის წაგნაკებსაც კი ვერ ანდობდა თავის გულის ზრახვას, მაგრამ ზოგჯერ თავისუფლებისათვის ბრძოლის ეს უშიშარი რაინდი, ისე აინთებოდა, რომ პროკლამაციის ენით სწერდა თვითპყრობელობის მისამართით:

„საძაგელნო!.. დააგდეთ ყოველი პატიოსნება, ყოველი გულთა გრძნობა; ყოველი კაცობრიული აზრი, რომელიც გამოარჩევს კაცს პირუტყვისაგან! დავიწყეთ სიტყვები „лежачего не бьют“, რომელიც ასე მოსაწონებელი იყო თქვენი ნაციისთვის!.. უბედურნო, უბედურნო! უფრთხილდით, თქვენი სიცილი არ გადაგექცეთ ტირილათ! თქვენი ღონე არ გადიქცეს უძალო წკეპლათ, რომელსაც უბრალო ქარიც კი ხრის! უფრთხილდით უსამართლობას; რომელსაც შეუძლიან მოთმინებიდან გამოიყვანოს ძუძუმწოვარა ბავშვიც და ჩჩვილი ბატკანიც. ნუ იჩინთ ყოველ ნაბიჯზედ მტერს და ნუ აგდებთ წყალში ქვრივ-ოხერს, უღონოს და ობოლს, თორემ უღონოს შეიძლება ღონე მოეცეს. ობოლს მამა გაუჩნდეს, ქვრივსა და ოხერს პატრონი. დამიჯერეთ ინანებთ. მაგრამ თქვენი მონანება, გვიანლა იქნება, ნუ ახდენთ განხეთქილებას თქვენს ხალხში, თორემ განხეთქილებას საძაგელი მოსავალი მოჰყავს, რომელიც საზრდოს ართმევს და ამახინჯებს იმასაც, ვისაც რჩეულობთ და ვიზედაც იმედს აგდებთ“.

და იქვე ლექსიცაა:

„უფრთხილდით ყველა, ნუ აშმაგებთ ხალხთ მოთმინებას, მას ნუ იმედობთ, რომ ისენი ცოტა არიან. თორემ თუ ერთხელ ხალხი მიხვდა, რისთვის იბრძვიან თითოს თითოზედ კაცნი ასნი გაიზრდებიან“.

(ხელნაწ. S. 3983).

ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგმა „დროების“ რედაქციაში კედლიდან ჩამოგლიჯა იმპერატორის სურათი და ზედ წააწერა:

დავწვი შენი სამართალი,  
შენი კანონ-დებულება,  
შენი აზრი, მოფიქრება,  
შენი მირონცხებულება!“

და ბუხარში აგუზგუზებულ ცეცხლს მისცა.

ყაზბეგის უბის წიგნაკებში შემონახული ჩანაწერები, მას ახასიათებენ, როგორც მეტად რადიკალურად განწყობილ ხალხოსან მწერალს.

## აკაკის ერთი გამოუქვეყნებელი სიტყვა

1908 წელს აკაკის სამწერლო მოღვაწეობის იუბილზე გადაუხადა თბილისის საზოგადოებამ. ამის შემდეგ აკაკი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. 1911 წელს ზაფხულში კახეთსაც ეწვია. 20 ივლისს ილიას მოსაგონარი ტრადიციული საღამო გაიმართა თელავში. საღამოს აკაკიც დაესწრო. თელავის საზოგადოებამ მეტად გულთბილად მიიღო და ვახშამზე თამადამა და სუფრის სხვა მონაწილეებმა მას ქართველი ხალხის გმირი უწოდეს. აკაკის ეს არ ესაგონა, მოიწადინა საპასუხოდ გამოსვლა და რადგან გამოიჩინა, რომ მის პატივსაცემად კახეთში კარგად ცნობილ თელავის დიდი ჭანდრის ქვეშ, რომლის ძირში დღესაც ცივი წყარო გამოდის და მის გარშემო ამწვანებული მდელოა, უნდა გამართულიყო დიდი ნადიმი, ამიტომ საპასუხო სიტყვის წარმოთქმა მეორე დღისთვის გადასდო. ამ სიტყვას, ეტყობა აკაკი დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ამის გამო წერილობით შეუმზახებია. ეს მისი ავტოგრაფი ახლა თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული და სარეგულაციო კუთხეში, დიდი ბელადის სტალინის პორტრეტის ქვევით ჰკიდია.

ეს ავტოგრაფი მუზეუმს გადმოსცა თელავის მცხოვრებმა, ძველი გაზეთების ყოფილმა კორესპონდენტმა ვ ა ნ ა პ ა ა ტ ა შ ვ ი ლ მ ა .

ამ ნაწერთ—ავტოგრაფით—მხტოვანი მგოსანი აკაკი წინასწარმეტყველებს, რომ უახლოეს ხანში ქართველებს შორის მსოფლიო მნიშვნელობის გმირი გაჩნდებაო. დღეს ეს მისი სიტყვები გამართლებულია. ეს სიტყვა კი არსად დაბეჭდილია. ამიტომაც ამ ავტოგრაფს უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

სიტყვა დათარიღებულია 1911. წლის 21 ივლისით.

ალ. მამულაშვილი.

## აკაკის სიტყვა

„ბატონებო! მე რომ დარწმუნებული არ ვიყო ადამიანის არარაობაზე საზოგადოდ და კერძოდ ჩემსაზე, ჩემი თავი თქვენს ხელში რაღაც მეგონებოდა!... მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ ვცნობ ჩემს თავს და თქვენი გრძნობის უხვებაც გათვალისწინებული მაქვს და აღარ ვსტყუვდები!..“

განსვენებულმა გრიგოლ ორბელიანმა, ქართველებს რომ ახასიათებდა, სიტყვით „ერი გულადი, პურადი, მტერთა მიმცემი რისხვისაო!“ ეს უკანასკნელი სიტყვები გადავდოთ, დღეს დრო და ჟამი ხელს არ გვიწყობს, რომ გავამართლოთ!... მაგრამ „გულადობა“ და „პურადობა“ კიდევ გვაქვს შერჩენილი. „გულადობას“ ვამტკიცებთ, მითი, რომ დღეს, ამისთანა უკუღმართ დროში, გული არ გაგვტეხია და სასიცოცხლოდ ვფართხალებთ!... და „პურადობას“ კი დღევანდელი ნადიმი გვიმტკიცებს. მაშთუ ასეა, რატომ ვეღარ ვახერხებთ, რომ დღევანდელ მოთხოვნილებას პასუხი გავსცეთ? ამის მიზეზი სულ სხვა არის: ქართველი ჭირშიაცა და ლხინშიაც ისტორიულად პირდაპირობას არის ნაჩვევი. ტყულად კი არ ამბობს, ალექსანდრე ქავჭავაძე: „აჰ“

შოკლავს, ან შეაკვდებო!“ დიახ, პირდაპირობას არის ნაჩვევი და ველარ ახერხებს დღევანდელ მოთხოვნილებას პასუხი გასცეს! ველარ ახერხებს, მაგრამ თანაგრძობით კი მოელის მოპასუხეს. ამას წუხანდელი „ილიას საღამო“ და დღევანდელი ნადიმი ამტკიცებს. თქვენს გადაჭარბებულ სურვილს წარმოუდგენივართ ჩვენ გმირებად — მე ჩემს თავზე მოგახსენებთ, — მაშინ, როდესაც ჩვენ მხოლოდ აჩრდილი ვართ იმ გმირებისა, რომელსაც თქვენ მოვლით და თქვენ გეკადრებთ. დიახ, ჩვენა ვართ მხოლოდ წინამორბედი, ძალიან სუსტი წინამორბედი და მახარობელი მათი!... შემძლია ვიმახარობლოთ, რომ ის გმირი ძოგვევლინებთ. ამ შავ დღეში, როგორც ახალგაზდა ქალებში, ისე ახალგაზდა კაცებშიაც მე ვხედავ ნიშნებს... ის ნიადაგი, ის ხალხი, რომელმაც წარმოშობა: ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარა, გიორგი ბრწყინვალე, დიდი მოურავი, მთაწმინდელები, პეტრიწი, რუსთაველი და სხვები... მსოფლიო გმირები... კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს, რომელიც თქვენ გეკირვებათ და მოვლით. — სვიმონ მოხუცებულმა რომ ქვეყნის მხსნელი შიირქვა, წარმოსთქვა: „აწ განუტევე მონა შენიო“ და განისვენა. — მე ვერ მოვესწრები იმ შომავეალ გმირის შირქმას, მაგრამ გულში იმედებით კი ჩავალ საფლავში და ჩემი უკანასკნელი სიმღერა იქნება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს მეთქი“. და ახლაც კი, ამ უზომო თანაგრძობისათვის გულითად მადლობას გწირავთ, ბატონებო, იმ გმირის სახელით, რომელსაც თქვენ მოვლით. ა კ ა კ ი“.

## უცხოეთის ლიტერატურული ქრონიკა

წიგნი ს. ს. რ. ა. კონსტიტუციის შესახებ.

გამომცემლობა „პრომეთეში“ (სტრასბურგი) გამოვიდა ვენის გაზეთის „არბაიტერ-კაიტუნგის“ ყოფილი რედაქტორის ერნსტ ფიშერის წიგნი, მიძღვნილი საბჭოთა კონსტიტუციისადმი.

„ეს წიგნი დაწერილია დამაჯერებლად, საესეა მდიდარი მასალებით და წარმოადგენს აუცილებელ იარაღს საბჭოთა კავშირის ყველა მეგობრისა და პროპაგანდისტისათვის“, — სწერს ამ წიგნის შესახებ პრადის „როტე ფანე“.

### „ომი და ზავი“ ეკრანზე

საფრანგეთში. — იტყობინება „პარი სუარი“, — მალე დაიწყება ახალი კინო-სურათის „ომი და ზავის“ გადაღება, რომლის სცენარიც დასწერა, კლოდ ფარერმა ლ. ტოლსტოის რომანის მიხედვით.

### ამერიკელი მოგვლელი თავიანთი ლიტერატურული დებიუტების შესახებ

ამერიკულ გამომცემლობაში „საიმონ და შუსტერ“ გამოვიდა წიგნი საგულისხმო სათაურით: „გავსხლტით პრესაზე“, რომელშიც 20 გამოჩენილი ამერიკელი მწერალი მოგვითხრობს თავისი პირველი ლიტერატურული ცდებისა და იმ წინააღმდეგობების შესახებ, რომელთა გადალახვაც მათ უხდებოდათ პირველი ნაწარმოების გამოქვეყნებისათვის.

თეოდორ დრაიზერი მოგვითხრობს თავისი პირველი რომანის „და კერის“ ბედის შესახებ.

ხარპერის გამომცემლობა, რომელმაც დრაიზერს დაუბრუნა „და კერის“ ხელნაწერი, თავის უარს ამ რომანის დაბეჭდვაზე ხსნიდა იმით, რომ „ამერიკის საზოგადოებრივი აზრი ამჟამად არაკეთილგანწყობილებას ამჟღავნებს ცხოვრების ასე რეალურად აღწერის მიმართ“. მხოლოდ 6 წლის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა ამერიკელ მკითხველებს გაცნობოდნენ ზემოაღნიშნულ რომანს. იგი დაიბეჭდა 1907 წ.

შერვუდ ანდერსონი აგვიწერს თავის განცდებს. როცა მან ჰოსპიტალში მწოლარე ავადმყოფმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ მისი პირველი მოთხრობა მიიღო უურნალმა „ხარპერ მეგეზინმა“.

რობერტ ბენლი მოგვითხრობს: გამომცემელმა სკრიბნერმა ერნესტ ხემინგუეის „მშვიდობით იარაღს“ პირველ გამომცემაში როგორ ამოაგდო მთელი რიგი წინადადებები და სიტყვები, რაც კი მას აშფოთებდა.

ხემინგუეიმ გამოართვა ბენლის „თავისი რომანის პირველი გამოცემის ცალი, აღადგინა მასში ყველა გამოტოვებული ადგილი და თავფურცელზე დააწერა: „შესწორებული გამოცემა, გამოტოვებული ადგილები შევსებულია. ფრიად ძვირფასია. დააჩქარეთ შექნა“.



## ჩარლი ჩაპლინის უამოკმედებითი კიბავანი

ლონდონის „ნიუს ქრონიკლის“ სიტყვებით ჩარლი ჩაპლინის განზრახვა აქვს მოქალაქე ფილმებისათვის გამოიცვალოს თავისი უკვე კლასიკურად აღიარებული ნიღაბი.

საცოდავი მოხეტიალე, შავი, პატარა უღვაშებით უკანასკნელად მოევიღნა მაცურებელს კინო ფილმში: „ახალი დროებანი“. ჩარლი ჩაპლინმა განიზრახა შეიცვალოს არა მარტო თავისი გარეგნობა, არამედ... ლაპარაკიც კი დაიწყოს (აქამდე იგი ფილმში ლაპარაკის წინააღმდეგი იყო).

ჯერჯერობით იგი საიდუმლოდ ინახავს — როგორი იქნება მისი მომავალი ნიღაბი. უურნალისტებს ჩაპლინმა აცნობა, რომ იგი მუშაობს ახალ ფილმზე, რომელიც მზად იქნება არა უადრეს ერთი წლისაო.

### ბოკაჩიოს ცხრვება

ინგლისის ერთერთ გამომცემლობაში გამოვიდა კეტრინ კარსუელის წიგნი „წყნარი გული“. წიგნი წარმოადგენს „დეკამერონის“ ავტორის რომანიზირებულ ბიოგრაფიას. აივორ ევანსი „მანჩესტერ გარდიანში“ სწერს ამ წიგნის ღირსების შესახებ.

ბოკაჩიო, კრიტიკოსის სიტყვით, განსახიერებულაა. წიგნში იმგვარად, როგორც ჩვენ ის წარმოგვიდგენია. ცოცხალი, მხიარული, საინტერესო მთხრობელი, რომელიც გასაოცრად გავს თავისივე ნოველების გმირებს.

„ავტორმა, — სწერს ევანსი, — საუცხოოდ დაგვიხატა ეპოქა, სისხლჭარბი და ნათელი დღეები რენესანსის ხანისა, რომელმაც შექმნა ისეთი წიგნი, როგორიც „დეკამერონია“.

### სენკევიჩი ტუვოგაუი

როგორც „პარიზერ ტაგესცაიტუნგი“ იტყობინება, გერმანიაში აკრძალულია ჰენრიხ სენკევიჩის რომანი „ჯვაროსნები“ — ვითომ როგორც გერმანელი ჯვაროსნების ლაშქრობათა ნამდვილი სურათის დაშმახინჯებელი.

უურნალ „ინტერნაციონალანია ლიტერატურიდან“.

გადაეცა წარმოებას 13/III 38 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1/IV 38 წ. ქალ. ზომა 6½ X 10½. ფორმათა რაოდენობა 4. მთავლ. № 1921 შეკვ. № 606. ტირაჟი 6500.